პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 84 (19226) ხუთშაბათი, 11 აპრილი, 1985 წელი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ მორიგ სხდომაზე განიხილეს პირველადი პარტიული ორგანიზაციების მუშაობის საკითხებისადმი მიძღვნილი რესპუბლიკური სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციების შედეგები. აღინიშნა, რომ მთლიანად კონფერენციებმა სათანადო ორგანიზაციულ-პოლიტიკურ დონეზე ჩაიარა, ხელი შეუწყო პარტიის ძირეული რგოლების როლის, ავტორიტეტისა და ბრძოლისუნარიანობის შემდგომ გაძლიერებას. აღნიშნულ საკითხზე მიღებული დადგენილების შინაარსი პრესაში გამოქვეყნდება.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ განიხილა რესპუბლიკის სოფლის მოსახლეობის კინომომსახურების გაუმჯობესების მდგომარეობისა და ღონისძიებების საკითხი. საქართველოს სსრ კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის ამ მიმართულებით გაწეული მუშაობა არადამაკმაყოფილებლად ცნეს. დამტკიცდა სოფლის მოსახლეობის კინომომსახურებაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისა და სოფლის კინოქსელის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების ღონისძიებათა გეგმა.

განიხილეს მავნე ორგანიზმებისაგან საქართველოს სსრ ტყეების დაცვის მდგომარეობისა და მისი შემდგომი სრულყოფის ღონისძიებათა საკითხი. ამ საკითხზე მიღებული საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილების შინაარსი პრესაში გამოქვეყნდება.

შეჯამდა წარმოებაში მეცნიერულ-ტექნიკური ნამუშევრების დანერგვის დაჩქარებისათვის სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციების ...

...

სის საქალაქო კომიტეტის მდივნის ამხ. ჯ. რ. კუზალაშვილის ანგარიში რესპუბლიკის დედაქალაქის ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროში ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის მდგომარეობის, მისი გაძლიერებისა და ამ მოვლენების თავიდან აცილებისათვის მუშაობის ეფექტიანობის გადიდების ღონისძიებათა შესახებ. სხდომაზე აღინიშნა, რომ საკმარისად არ სრულდება პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების მოთხოვნები მოსახლეობის სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურების ძირეული გაუმჯობესების თაობაზე. ჯერ კიდევ სათანადო წესრიგი არა აქვთ დამყარებული ვაჭრობის სისტემაში, სადაც არის საქონლის გადამალვის, მყიდველის მოტყუების, აღურიცხავი პროდუქციის რეალიზაციის ფაქტები ...

...

ვამრავლოთ, ვახაროთ ჩვენი მწვანე მეგობრები

ახლა ჩვენი რესპუბლიკის ქალაქებსა და სოფლებში, ქუჩებში და მაგისტრალებზე ხშირად შევხვდებით ნერგებით, ხე-მცენარეებით დატვირთულ ტრანსპორტსა და ქვეითს. ეს გაზაფხულის დამახასიათებელი ჩვეულებრივი სურათებია. შრომითი კოლექტივები, ოჯახები, ცალკეული ადამიანები მიისწრაფიან გარემოს გასაცოცხლებლად, გასახალისებლად, ხეებისა და ბუჩქების დასარგავად, ახალი ტყის მასივების, პარკ-პარკების გასაშენებლად.

მკაცრი და მძიმე ზამთრის შემდეგ ჩვენი მხარისათვის დამახასიათებელი თბილი ამინდები ცოტა გვიან დადგა, სიცივე და ჭირვეული ...

...

ნთქავს 13-17 ტონა ნახშირორჟანგს, გამოყოფს 10-13 ტონა ჟანგბადს, ერთი წლის მანძილზე ჰექტარი ტყე საშუალოდ 50-70 ტონა მტვერს ფილტრავს...

განუზომელია ტყის სიკეთე. ვინ მოთვლის, რა სიხარული, სიამოვნება, დახმარება, ხელის გამართვა შეუძლია ადამიანისათვის ტყეს — ბუნების ამ უდიდეს ფენომენს.

და სწორედ ამიტომ არის, რომ ჩვენს ქვეყანაში ყურადღება და მზრუნველობა არ აკლია გარემოს, ტყეს, მწვანე სამოსელს. კომუნისტური პარტია, საბჭოთა მთავრობა უაღრესად მნიშვნელოვან ღონისძიებებს ახორციელებენ გარემო ბუნების დაცვისა და აღდგენაგანვითარებისათვის, ტყეების გაშენებისა და მოვლა-პატრონობის გაუმჯობესებისათვის. ერთი სიტყვით, ჩვენს ქვეყანაში საერთო-სახალხო, სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს მიკუთვნებული გარემოს დაცვას, ტყეების მოვლა-პატრონობას, მათ იცავს კანონი, საბჭოთა კონსტიტუცია.

გარემოს მოვლა-პატრონობის სასიცოცხლო ამოცანა წარმატებით იხსამს ფრთებს ჩვენს რესპუბლიკაში. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მითითებათა შესაბამისად დიდი პრაქტიკული მუშაობა მიმდინარეობს თბილისის, ქუთაისის, სოხუმის, ბათუმის, ცხინვალის, რუსთავის და სხვა მსხვილი სამრეწველო ცენტრებისა და დასახლებული პუნქტების, ხრიოკი ადგილებისა და მაგისტრალების გასამწვანებლად. ახიათასობით ხე და ბუჩქი ირგვება ყოველწლიურად ჩვენს მიწა-წყალზე, სულ უფრო მატულობს მწვანე ...

...

ბრძნულად უთქვამს ხალხს — ტყე ქმნის წყალს, წყალი მოსავალს, მოსავალი სიცოცხლესო და სწორედ ამიტომ ვამრავლოთ და ვახაროთ ხე, ყოველი გახარებული და გაფურჩქნული მცენარე მუდამ იქნება ადამიანის ერთგული მეგობარი, მისი სიცოცხლის დაუშრეტელი წყარო.

ახლა უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ რამდენად ორგანიზებულად და ხარისხიანად გავაშენებთ ტყეებს, დავრგავთ ახალ მცენარეებს, როგორ მოვუვლით და ვაცოცხლებთ მათ. აბა შევეკითხოთ ერთმანეთს, თითოეულმა ჩვენგანმა რამდენი ხე დავრგეთ, რამდენი გავახარეთ ჩვენი სახლების წინ, ეზოებში, გზების გაყოლებით, და ამით საფუძველი ჩავუყარეთ თუ არა ახალ სიცოცხლეს!

მეტად საპატიო ამოცანები, რომლებიც ბუნების გამოცოცხლების, ახალი მცენარეების დარგვა-გაშენების საქმეში პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო ორგანიზაციების, კომუნისტების, კომკავშირელების, შრომითი კოლექტივების, ყოველი ჩვენგანის წინაშე დგას. მაშ მოდით ნუ მოვაკლებთ შრომასა და ღვაწლს ჩვენს მშობლიურ ბუნებას, და ისიც ასკეცად მოგვაგებს სიკეთეს. მუდამ უნდა გვახსოვდეს ხალხური სიბრძნე: ტყე გაახარე, ძმობილო, მოყვრულად მოიხმარია, ტყე შეუნახე შვილებსა, მამა ხარ, შენი ვალია.

სსრ კავშირში ინდოეთის პრემიერ-მინისტრის რაჯივ განდის ვიზიტის შესახებ

მიღწეული მორიგების შესაბამისად, ინდოეთის პრემიერ-მინისტრი რაჯივ განდი საბჭოთა ხელმძღვანელობის მოწვევით ოფიციალურ მეგობრულ ვიზიტად ჩამოვა საბჭოთა კავშირში ა. წ. მაისის მეორე ნახევარში.

ხალხის დიადი გმირობა

სსრ კავშირის შემოქმედებითი კავშირებისა და ორგანიზაციების გამგეობათა გაერთიანებული პლენუმი

სურათზე: პლენუმის დროს. საქინფორმის ტელეფოტო.

მარად იცოცხლებს გმირობა საბჭოთა ხალხისა, რომელმაც გაანადგურა ფაშიზმი, გაათავისუფლა ევროპის ქვეყნები ჰიტლერული მონობისაგან, იხსნა მსოფლიო ცივილიზაცია. ორმოცი წლის წინათ მოპოვებული გამარჯვება მარტო ჩვენი ისტორია კი არა, ჩვენი თანამედროვეობაცაა ...

... ბის მოძმე ხალხები, სახელმწიფოები, რომლებიც განთავისუფლდნენ ჰიტლერული ოკუპაციის უღლისაგან, მილიონობით კეთილი ნების ადამიანი ყველა კონტინენტზე, მთელი თავისუფლებისმოყვარე კაცობრიობა. ისე როგორც ყოველთვის, დღესაც პირველი ჩვენი სიტყვა ეკუთვნის მშობ- ...

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის რიგგარეშე პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა მ. ს. გორბაჩოვმა თქვა: „ჩვენ მტკიცედ განვაგრძობთ მშვიდობისა და მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინურ კურსს. კეთილ ნებას საბჭოთა კავშირი მუდამ უპასუხებს ...

... რცეებში გაშლილი აღმშენებლობის მჩქეფარე რიტმი. გამარჯვების დიადი დღესასწაული, ხაზი გაუსვეს ორატორებმა, ცხოვრებასთან ლიტერატურისა და ხელოვნების კავშირის შემდგომი განმტკიცების სტიმული უნდა გახდეს. პლენუმის ტრიბუნიდან წარმოებდა საქმიანი, პრინციპული საუ- ...

...

... მა ლ. კულიჯანოვმა. მან აღნიშნა, რომ საბჭოთა ხალხის გმირობა, რომელმაც ფაშიზმი დაამარცხა, იყო და არის კინოხელოვნების უმრეტი თემა.

უდიდეს მნიშვნელობას ვანიჭებთ რა გამარჯვების 40 წლისთავს, ამ თარიღს ვაფასებთ არა მარტო ისტორიის თვალსაზრისით, არამედ აწმყოს, მომავლის თვალსაზრისითაც, თქვა სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ, გაზეთ „პრავდის" მთავარმა რედაქტორმა ვ. აფანასიევმა. კაცობრიობა თავისი ისტორიის გარდატეხის მომენტს გა- ...

განავითარა რა ეს აზრი, სრულიად რუსეთის თეატრალური საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარემ მ. ცარიოვმა თქვა, რომ საბჭოთა თეატრი ყოველთვის იყო და არის პარტიის თანაშემწე იდეოლოგიურ ბრძოლაში. მას თავის უპირველეს ამოცანად მიაჩნია ახალგაზრდობის აღზრდა პატრიოტიზმის, სამშობლოსა და თავისი ხალხის სიყვარულის, მისი იდეალების დასაცავად მზადყოფნის სულისკვეთებით.

ხალხის, საზოგადოების ბედ-

(დასასრული მე-2 გვ.).

11 აპრილს 17 საათზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სხდომათა დარბაზში გაიმართება საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიულ-სამეურნეო აქტივის სკოლის მორიგი მეცადინეობა.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ნ. პ. ლებედინსკი გააკეთებს მოხსენებას „საგეგმო გაანგარიშებათა ავტომატიზებული სისტემა, როგორც დაგეგმვის კომპლექსური სრულყოფის ერთ-ერთი მიმართულება".

ხალხის დიადი გმირობა

(დასასრული)

იღბალთან ადამიანის ბედ-იღბლის განუყრელობა საბჭოური ცხოვრების წესის განუყოფელი თვისებაა. ეს თვალსაჩინოდ ცხადყო მოსკოვის მწერალთა ორგანიზაციის გამგეობის მდივნის ი. ხტადნიუკის, ყაზახეთის მწერალთა კავშირის გამგეობის პირველი მდივნის ო. სულეიმენოვის, სსრ კავშირის დიდი თეატრის სოლისტის ე. ნესტერენკოს, პლენუმის ბევრი სხვა მონაწილის გამოსვლებმა.

ომისა და მშვიდობის თემა ჩემთვის როლი როლია, რომელიც უნდა შეასრულო, ეს არის ჩემი შინაგანი მოთხოვნილება, ჩემი შემოქმედებითი კრედო, თქვა მოლდაველმა კომპოზიტორმა ე. დოგამ. ვიცი: ლენინგრადელი გოგონა ტანია დროის სიღრმიდან სწორედ მე მწერდა, სწერდა მომავალი საუკუნეების მთელ კაცობრიობას ყველაზე ტრაგიკულ სტრიქონს, რომელიც კი ოდესმე წამიკითხავს: „სავიჩევები ყველანი დაიხოცნენ". მე მახსოვდა ეს, როცა ვწერდი „ბალადას ტანია სავიჩევას შესახებ" და ომით ნაკარნახევ სხვა ნაწარმოებებს.

ფაშისტურ გერმანიაზე საბჭოთა ხალხის დიადი გამარჯვება მარად მოაგონებს პლანეტის ადამიანებს, რომ წარსულის გაკვეთილების დავიწყება არ შეიძლება, თქვა კინორეჟისორმა ტ. ოკეევმა, (ყირგიზეთი). ამასთან დაკავშირებით უპრიანია გავიხსენოთ კინოეპოპეა „დიდი სამამულო", რომლის ბევრი ეპიზოდი ჩვენმა უშიშარმა ფრონტელმა ოპერატორებმა გადაიღეს მტრის ტყვიების ზუზუნში.

სწორედ ასეთი, ჩვენი ხალხის საკადრისი ნაწარმოებების შექმნას ესწრაფვიან სახვითი ხელოვნების საბჭოთა ოსტატები, თქვა რუსეთის სფსრ მხატვართა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ ს. ტკაჩოვმა. ადამიანური და მოქალაქეობრივი გმირობა უწოდა მან მხატვართა მიერ შექმნილ დიდი სამამულო ომის კოლექტიურ მატიანეს.

ხუროთმოძღვრის პროფესია ერთ-ერთი ყველაზე მშვიდობიანი პროფესიაა ამქვეყნად. არქიტექტურა თავისი არსით აღმშენებლობას გულისხმობს, ომი მისი ანტიპოდია. ეს აზრი გასდევდა ლაიტმოტივად სსრ კავშირის არქიტექტორთა კავშირის გამგეობის პირველი მდივნის ა. პოლიანსკის გამოსვლას. ახლა მოსკოვში დაიწყო დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების ძეგლის მშენებლობა, რომელიც პოკლონნაიას გორაზე დაიდგმება, იგი ქვეყნის მთავარი მონუმენტი გახდება, რომლის გმირული სახეები ფაშიზმზე გამარჯვების ტრიუმფს ასახავენ.

წინ სერიოზული და რთული მუშაობა გველის, თქვა კომპოზიტორმა ა. პახმუტოვამ. წარმატების საწინდარია ხალხის ცხოვრებასთან მჭიდრო კავშირი. აი ამიტომ არის, რომ ჩვენ ასეთი მღელვარებით, სულითა და გულით აღვიქვით სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის შედეგები.

ხალხთა ძმური მეგობრობა, ეროვნული კულტურების ურთიერთგავლენა და ურთიერთგამდიდრება საბჭოეთის ცხოვრების კანონია. ეს აზრი წითელ ზოლად გასდევდა მსახიობ მ. მაგომაევის (აზერბაიჯანი), სომხეთის სსრ თეატრალური საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარის რ. ყაფლანიანის, კინორეჟისორ შ. აბასოვის (უზბეკეთი), თურქმენეთის მხატვართა კავშირის გამგეობის თავმჯდომარის ი. კლიჩევის, ესტონეთის მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარის ვ. ბეეკმანის, ბაშკირეთის სახალხო პოეტის მ. ქარიმის, ტაჯიკეთის მხატვართა კავშირის გამგეობის თავმჯდომარის ს. ყურბანოვის, კინომსახიობ რ. ადომაიტისის (ლიტვა), დ. სკულმეს (ლატვია), თ. ჩხეიძის (საქართველო) გამოსვლებს.

საყოველთაო-სახალხო დღესასწაულის — დიადი გამარჯვების 40 წლისთავის წინ მრავალეროვნული საბჭოთა კულტურის მიღწევათა შესახებ გამართული ნაყოფიერი სჯა-ბაასის შედეგები შეაჯამა სსრ კავშირის კომპოზიტორთა კავშირის გამგეობის პირველმა მდივანმა ტ. ხრენიკოვმა.

საბჭოთა შემოქმედი ინტელიგენცია, განაცხადა მან, თავის უზენაეს მოვალეობად თვლის იყოს პარტიის თანაშემწე მის დაუცხრომელ ბრძოლაში მშვიდობისათვის, ხალხთა კეთილდღეობისა და ბედნიერებისათვის.

გაერთიანებული პლენუმის მონაწილეებმა დიდი აღმავლობით გაუგზავნეს მისასალმებელი წერილი სკკპ ცენტრალურ კომიტეტს.

(საქდეს).

პარტიული ცხოვრება: საოლქო კომიტეტების პლენუმები

მეტი შეურიგებლობა!

სოხუმი. აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში სახელმწიფოებრივი და საშემსრულებლო დისციპლინის შემდგომი გაძლიერების აუცილებლობის შესახებ საქმიანი სჯა-ბაასი გაიმართა საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პლენუმზე, რომელიც ამას წინათ გაიმართა.

პლენუმზე „სოციალისტური კანონიერების უზრუნველყოფისა და სამართალდარღვევების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების საკითხებზე სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებათა შესასრულებლად აფხაზეთის ასსრ პარტიული, საბჭოთა, ადმინისტრაციული ორგანოებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მუშაობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ" მოხსენება გააკეთა საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანმა ვ. ალავიძემ.

მართალია, ავტონომიურ რესპუბლიკაში გაუმჯობესდა სამართალდაცვითი ორგანოებისადმი პარტიული ხელმძღვანელობა, უფრო შეურიგებელი გახდა ბრძოლა სოციალისტური საკუთრების დატაცებების, მექრთამეობისა და სპეკულაციის წინააღმდეგ, მაგრამ გასაკეთებელი ბევრია. დღემდე გაწეული მუშაობის დონე სრულად ვერ შეესაბამება იმ მზარდ მოთხოვნებს, რომლებსაც „სკკპ ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი უყენებენ პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ, კომკავშირულ და სამართალდაცვით ორგანოებს.

პლენუმმა აფხაზეთის ასსრ პროკურატურას, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და იუსტიციის სამინისტროს, უმაღლეს სასამართლოს მოსთხოვა, რომ მიაღწიონ დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის ფორმებისა და მეთოდების სრულყოფას, გამოავლინონ და გააანალიზონ ის მიზეზები და პირობები, რომლებიც ხელს უწყობს სამართალდარღვევებს და ყველაფერი იღონონ მათს აღსაკვეთად, აამაღლონ მინდობილი საქმისათვის კადრების პერსონალური პასუხისმგებლობა, უზრუნველყონ მათს მუშაობაში პრინციპულობა და მეტი შემტევობა.

პლენუმზე გამოვიდა საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ბ. ადლეიბა.

განხილულ საკითხზე პლენუმმა მიიღო დადგენილება.

ი. გოგებია,
„კომუნისტის" საკ. კორ.

მუშაობის სტილის სრულყოფით

ბათუმი. გაიმართა საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის VII პლენუმი, რომელმაც განიხილა შემდეგი საკითხები: „საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1979 წლის XVII პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულების მიმდინარეობა და აჭარის პარტიული ორგანიზაციის ამოცანები სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოთხოვნათა შესაბამისად კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდის შემდგომი გაუმჯობესების, მათი მუშაობის სტილის სრულყოფის საქმეში"; „პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის ბიუროს და სამდივნოს 1984 წლის საქმიანობისა და 1985 წელს მისი შემდგომი სრულყოფის ამოცანები"; მოისმინეს აგრეთვე აჭარის ასსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარის თ. ბაზიაშვილის ინფორმაცია 1984 წელს მშრომელთა წერილებსა და განცხადებებზე აჭარის სახალხო კონტროლის ორგანოების მიერ გაწეული მუშაობის შესახებ.

პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. პაპუნიძემ.

მომხსენებელმა და კამათის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ აჭარის საოლქო პარტიული ორგანიზაცია დღენიადაგ აუმჯობესებს საკადრო მუშაობას. ამის დადასტურებაა ავტონომიურ რესპუბლიკაში შექმნილი ჯანსაღი მორალურ-პოლიტიკური ვითარება, ის შესანიშნავი ეკონომიკური შედეგები, რომლებსაც აჭარის მშრომელებმა შარშან და წინა წლებში მიაღწიეს. მეთერთმეტე ხუთწლედის განვლილ ოთხ წელიწადში გეგმის გადამეტებით წარმოებულია 100 მილიონი მანეთის სამრეწველო პროდუქცია, 25.721 ტონა ჩაის ფოთოლი, 146.653 ტონა ციტრუსი.

არსებითად დაიხვეწა კადრების მომზადების, შერჩევის, განაწილების, აღზრდის, მათი მორალურ-პოლიტიკური თვისებების დახვეწის, სტაჟირების პრაქტიკა.

ცხოვრება გვიჩვენებს, რომ საჭიროა პარტიული კომიტეტები დღენიადაგ უწევდნენ კონტროლსა და დახმარებას კადრებს, ქმედითად გამოიყენონ ისეთი ეფექტიანი ფორმა, როგორიც არის ხელმძღვანელი მუშაკის ანგარიშების მოსმენა, ღია პარტიულ კრებებზე კომუნისტთა დახასიათების დამტკიცება. ახლა მთავარია ძალთა კონცენტრაციით მივაღწიოთ საუკეთესო საბოლოო შედეგებს, ახალი შრომითი გამარჯვებებით შევხვდეთ პარტიის XXVII ყრილობას.

განხილულ საკითხებზე პლენუმმა მიიღო შესაბამისი დადგენილება.

მ. გორგილაძე,
„კომუნისტის" საკ. კორ.

საკადრო პოლიტიკა მთავარი საკითხია

ცხინვალი. ამ დღეებში გამართულმა პარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პლენუმმა განიხილა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის მარტის პლენუმის შედეგები და საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო ორგანიზაციის ამოცანები საკადრო პოლიტიკის დარგში.

მომხსენებელმა საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ფ. სანაკოევმა საფუძვლიანად გააანალიზა პარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის, მისი ბიუროს მუშაობა კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდის საქმეში.

კადრებთან დიდი ორგანიზატორული მუშაობის, მათი სწორი განაწილებისა და აღზრდის შედეგად ოლქში მნიშვნელოვანი წარმატებანია მოპოვებული სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში. ეს მიღწევები კვლავ აღინიშნა დიდი ჯილდოთი — სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის მეექვსედ დაჯილდოვდა სამხრეთ ოსეთი და ქალაქი ცხინვალი რესპუბლიკური გარდამავალი წითელი დროშით. შრომის ტემპი კვლავ სწრაფია მეთერთმეტე ხუთწლედის ვალდებულებათა შესასრულებლად. განვლილ ოთხ წელიწადში სამრეწველო წარმოების მოცულობა აქ 48,8 პროცენტით გაიზარდა, სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქცია კი — 4,1 პროცენტით. მრეწველობაში შრომის ნაყოფიერება გაიზარდა 14,5 პროცენტით, სოფლის მეურნეობაში — 4,3 პროცენტით.

პარტიულმა კომიტეტებმა, პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა სისტემატურად უნდა სრულყონ კადრებთან მუშაობის მხრივ ოლქში შექმნილი სისტემა, გამონახონ უფრო ქმედითი ახალი ფორმები და მეთოდები, ხელმძღვანელი კადრის შერჩევის დროს გამოიჩინონ მეტი პრინციპულობა, ყოველმხრივ შეისწავლონ დასაწინაურებელი კაცის უნარ-თვისებები. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს პირველადი პარტიული ორგანიზაციების, შრომითი კოლექტივებისა და საზოგადოების აზრს. კადრების პასუხისმგებლობის ამაღლებაში მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს ოლქის პირველადი პარტიული ორგანიზაციების კარგ პრაქტიკას — კომუნისტის ანგარიშის მოსმენასა და პარტიული დახასიათების დამტკიცებას.

პლენუმზე გამოითქვა ღრმა რწმენა, რომ სამხრეთ ოსეთის კომუნისტები, ყველა მშრომელი მთელი ძალითა და ენერგიით იბრძოლებენ დასახული ამოცანების უთუოდ შესრულებისათვის, ღირსეულად შეხვდებიან მშობლიური კომუნისტური პარტიის მორიგ XXVII ყრილობას.

ვ. თედეევი,
„კომუნისტის" საკ. კორ.

სპეციალისტი თავის ადგილზე

დაგეგმილი ზარალი?

ერთი შეკითხვა გარეჯის საბჭოთა მეურნეობა-კომპლექსის დირექტორსა და მთავარ სპეციალისტებს: რატომ იგეგმება მეურნეობა ზარალით და რა მიგაჩნიათ გარდატეხის საწყისად?

გარეჯის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობა-კომპლექსი სპეციალიზაციის მიზნით 1975 წელს გამოეყო საგარეჯოს მერძევეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობას და... ათი წლისთავს გარეჯელები დიდძალი ზარალით ეგებებიან. ეგებებიან და ეგრე? ზარალის გეგმა (!) შარშან ორასზე მეტი პროცენტით შეასრულეს. ნაცვლად 264 ათასი მანეთისა 551 ათასი მანეთი იზარალეს.

თავიდანვე განვაცხადებთ: არავინ იფიქროს, რომ ეს ზარალი ან მეურნეობის ამჟამინდელი დირექტორის, ან რესპუბლიკური გაერთიანება „საქცხოველმრეწვის" ახლანდელი ხელმძღვანელის ბრალი იყოს. არა, ისინი ორივენი ახლები არიან. დაგეგმილ ზარალს კი თავიდანვე ჩაეყარა საფუძველი და იქიდან მოყოლებული, დღემდე ზარალს ზარალი ემატება.

გარეჯელთა დირექტორს ოთარ ჩალათაშვილს, მთავარ ზოოტექნიკოსს სანდრო კობტაშვილს, მთავარ აგრონომს ნოდარ ჩაფიძეს, მთავარ ინჟინერ-მექანიზატორს დავით მარხვაშვილს და მეცხოველეობის კომპლექსის უფროსს თემურ ორჯონიკიძეს ერთი და იგივე შევეკითხეთ: **რატომ იგეგმება მეურნეობა ზარალით და რა მიგაჩნიათ გარდატეხის საწყისად?**

— კითხვა ერთია, მაგრამ ბევრის მომცველი, — ამბობს მეურნეობის დირექტორი, — მაგონდება ის დრო, როცა საგარეჯოში ერთი მეურნეობა იყო. იმ ერთიანი მეურნეობის დირექტორად ათ წელიწადს ვმუშაობდი და არ მახსოვს, რომ რომელიმე სახეობის მიხედვით გეგმა გადამეტებით არ შეგვესრულებინოს. სპეციალიზაციის მომიზეზებით ერთიანი, ეკონომიკურად ძლიერი მეურნეობის გაყოფა, ეტყობა, წესების დარღვევით მოხდა. ეტყობა-მეთქი, იმიტომ ვამბობ, რომ გაყოფის დროს მე აღარ ვხელმძღვანელობდი მეურნეობას. წესების დარღვევით გაყოფაში კი იმას ვგულისხმობ, რომ, რაც კი რამ კარგი და მომგებიანი იყო, იქით, მემცენარეობის მეურნეობაში დარჩა, გარეჯელები კი გერის როლში აღმოჩნდნენ. ზღაპარია არ იყოს, გერ ძმას უხეირო, ურწყავი მიწები შეახვედრეს, სარძეო კომპლექსი იორგალმა, საგარეჯოდან 35 კილომეტრზე აუშენეს. კომპლექსში 1981 წელს 1.200 ფური უნდა ყოფილიყო, ხოლო რძის დამზადების საგეგმო დავალება 1983 წელს უნდა შესრულებულიყო. შესრულდა? ვერა.

ვერ შესრულდა იმიტომ, რომ გერი ძმის ადგილსამყოფლის ბუნებრივი პირობები არავინ გაითვალისწინა. თანაც „ბრენდის" ტიპის საძროხეები იქ ააშენეს, სადაც არ უნდა აშენებულიყო. თუ სპეციალისტი არა ხარ, ვერ მიხვდები, როგორია „ბრენდის" ტიპის საძროხე. ამ ტიპის ბინები ორივე მხრიდან ღიაა. აქ თბილ ამინდშიც კი მდინარე ივრის ხეობის ცივი ქარი უბერავს. გვიან შემოდგომაზე, ადრე გაზაფხულზე და ზამთარში კი ღია საძროხეში მეწველი პირუტყვების გაჩერება შეუძლებელი კი არა, დანაშაულია. ახლა ფურის ჯიშს არ იკითხავთ? ყველასათვის ცნობილია, რომ „ველის წითელი" ჯიშის ფურები დაუბმელად, ღია საძროხეში ვერ ძლებენ. კომპლექსში კი გაერთიანება „საქცხოველმრეწვმა" სწორედ ამ ჯიშის დეკეულები მოიყვანა. სიცივის, შიმშილისა და მოუვლელობის გამო დეკეულები დაჯანდაგდნენ, დაავადდნენ და მეტი წილი დახბოიანებამდე სახელმწიფოს სახორცედ მიჰყიდეს. აი ზარალის თავიდათავი მიზეზი.

ამის შემდეგ პარტიის საგარეჯოს რაიკომის ბიუროს და საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის კოლეგიის ერთობლივი გადაწყვეტილებით კომპლექსის სარეკონსტრუქციო პროექტი შეიმუშავეს. დაიწყო სამუშაოები, მაგრამ მშენებლობა დღემდე გაჭიანურდა და უკრაინიდან მოყვანილი ძვირად ღირებული დეკეულები გაწყდებოდნენ, „საქცხოველმრეწვის" მშენებლო-სარემონტო სამმართველო რომ არ დაგვხმარებოდა; ძირითადად კი მეურნეობა-კომპლექსის მშრომელთა ერთსულოვნებით გადავარჩინეთ დეკეულები. გაერთიანება „საქცხოველმრეწვის" ახალმა ხელმძღვანელობამ ყველაფერი იღონა, რათა 600 სული დეკეული დათბუნებულ ბინებში გვყოლოდა. მართალია კომპლექსი კვლავ დაუმთავრებელია, მაგრამ დეკეულებსა და სხვა პირუტყვს საშიშროება წელს აღარ ელის; საკვები სამყოფზე მეტი გვაქვს; მომვლელები და სპეციალისტებიც უნარსა და გამოცდილებას არ ზოგავენ, რათა საქონელმა კარგად გამოიზამთროს. აპრილში 300 სული დეკეული დახბოიანდება და წველადობაც იმატებს.

— იმედი გაქვთ, რომ რძის დამზადების საქმეს მარტო ეს უშველის?

ო. ჩალათაშვილი: მარტო ეს რომ ვერ უშველის, კარგად ვიცით, მაგრამ იძულებით ზარალს კი თავს დავაღწევთ. ასე რომ, წლეულს გერის მდგომარეობიდან თანდათან გამოვალთ და გაისად ზარალს აღარ დავგეგმავთ.

ამონაწერი დირექტორის საანგარიშო მოხსენებიდან: შარშანდელ სამეურნეო წელს საგეგმო მილიონ 156.700 მანეთის საერთო პროდუქტების რეალიზაცია იყო დაგეგმილი. ეს დავალება 113 პროცენტით შესრულდა, ამონაგები თანხა მილიონ 315 ათასი მანეთი იყო.

ამის წამკითხველი იფიქრებს, გარეჯში არცთუ ურიგოდ ყოფილა საქმეო. რა თქმა უნდა, ამ მხრივ ურიგოდ არ იყო საქმე, მაგრამ ზარალი საგეგმოსთან შედარებით მაინც გაორმაგდა. გაორმაგდა სწორედ პროდუქციის რეალიზაციის, უფრო სწორად, იძულებითი რეალიზაციის გამო. დირექტორმაც აღნიშნა და ჩვენც უნდა გავიმეოროთ, რომ ფერმების ძველი, პრიმიტიული ბინების სარეკონსტრუქციო სამუშაოებთან დაკავშირებით ზამთარში ფურების უმეტესობა სიცივის გამო ისე დაჯანდაგდა, რომ დახბოიანება შეუძლებელი იყო. ამიტომ ნაწილი ცალკე გაიყვანეს, 174 სული გამხდარი, ერთობ წონანაკლები პირუტყვი კი სახელმწიფოს სახორცედ მიჰყიდეს. ცენტნერი ხორცის წარმოებაზე 598 მანეთი დაიხარჯა. მარტო აქედან 294 ათასი მანეთი იზარალეს.

რძის დამზადების გეგმა არ შეუმცირეს და დანარჩენი 400 სული ფური იმიტომ შეინახეს, რომ როგორმე, მცირე რაოდენობით მაინც დაემზადებინათ რძე. ფურების საკმაო ნაწილი ისე იყო დაჯანდაგებული და დაავადებული, რომ ბერწად დარჩა. ასეთ ვითარებაში სახელმწიფოსათვის მიყიდული 3.725 ცენტნერი რძე, ცხადია, მეორე ხარისხისა იყო. ცენტნერი რძე 61 მანეთის ნაცვლად 129 მანეთი დაუჯდათ. მეურნეობამ 206 ათასი მანეთი აქედან იზარალა. ერთი სიტყვით, მეურნეობა 524 ათასი მანეთით მარტო მეძროხეობის კომპლექსმა აზარალა.

დანარჩენი დარგები — მეღორეობა, საკვებწარმოება, მევენახეობა — ურიგოდ არ გამოიყურება. მაგრამ მეურნეობის ხელმძღვანელობა და მთავარი სპეციალისტები, მშრომელები იმან შეაშფოთა, რომ სახელმწიფოსაგან სესხად მიღებული მილიონ მანეთზე მეტი თანხა, რითაც დეკეულები უნდა შეიძინონ, უკუგებას მალე ვერ იძლევა. საჭიროა კომპლექსის სარეკონსტრუქციო სამუშაოების დაჩქარება. მშენებლები კი აინუნშიც არ აგდებენ ამას და კვლავ აჭიანურებენ ამ გადაუდებელი საქმის დამთავრებას. მშენებლები დაგვპირდნენ, რომ შარშანვე (მაშინაც კი დაგვიანებული იყო) დაამთავრებდნენ სამუშაოებს, მაგრამ ახლაც კი არ ჩქარობენ. ასე რომ, სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის ხელმძღვანელობამ მშენებლებს ახლავე მტკიცედ უნდა მოჰკითხოს, თორემ მერე გვიან იქნება.

თ. ორჯონიკიძე: გაზეთის ჩარევა დროულია. ჩემი აზრით, ძველი შეცდომები რომ აღარ განმეორდეს, 690 სულ „ველის წითელი" ჯიშის პირუტყვს თვალსაჩინოვით უნდა მოვუაროთ. ჩვენ პირუტყვს ზოვლა-პატრონობას არ ვაკლებთ, მაგრამ თუ კომპლექსის სარეკონსტრუქციო და კეთილმოწყობის სამუშაოები მალე არ დამთავრდა, გაგვიჭირდება. უპირველესად კი საჭიროა საკვების დასამზადებელი საამქროს რეკონსტრუქცია.

დღევანდელობა გვავალებს, რომ სიტყვა და საქმე ერთი უნდა იყოს, მარტო დაპირებებით შორს ვერ წავალთ. ჩვენი მეცხოველეები შინ ტელევიზიით ხედავენ და გაზეთებშიც კითხულობენ, რომ ამა და ამ რაიონის ფერმებში შრომის იდეალური პირობებია. ჩვენთან კი მინიმალურიც არ არის. რატომ? — იკითხავთ. იმიტომ, რომ ფერმაში მეცხოველეების ყოფა-ცხოვრების პირობების გასაუმჯობესებელი საშუალება არ არის. მეცხოველეებს დასასვენებელი ოთახიც კი არა აქვთ. საგარეჯოდან ასე შორს, 30-35 კილომეტრ მანძილზე დაშორებულ კომპლექსშიც სატელეფონო ხაზი ვერ გაიყვანეს, რათა საჭირო შემთხვევაში ექიმი გამოვიძახოთ. ახლა გზა? ვერა და ვერ დამთავრდა გზის კეთილმოწყობა.

ეს გადაუდებელი საქმეა, მშენებლების გულგრილობა კი გვაოცებს.

ს. კობტაშვილი: მეურნეობის მშრომელები ამ მძიმე პირობებშიც კი ერთგულად შრომობენ. მეღორეობის ფერმაშიც ყველაფერი ისე ვერ არის, როგორც ზოოვეტერინარული წესებით არის გათვალისწინებული, მაგრამ შრომის პირობები მეძროხეებისაზე უკეთესია და ამიტომ შედეგიც კარგია. ცენტნერი ხორცის წარმოება საგეგმოსთან შედარებით 64 მანეთით გაიაფდა. რა თქმა უნდა, ფერმა რენტაბელურია და იქ მომუშავეთა შრომის ნაყოფიერება და შრომის ანაზღაურება მოწინავე ფერმებისას უთანაბრდება. ასე რომ, ჩემი აზრით, ზარალიდან თავდასაღწევად უპირველესად საჭიროა მეცხოველეებს შრომისა და კულტურული დასვენების ნორმალური პირობები შევუქმნათ. ნორმალურ პირობებს ვინღა ჩივის, მეძროხეობის ფერმაში წყალი არ ჰყოფნით. უწყლოდ კი პირუტყვს ვერც საკვებს დავუმზადებთ, ვერც დავარწყულებთ და ვერც ზოოჰიგიენურ წესებს დავიცავთ.

გარდა ამისა, ფერმაში უწყვეტად არც ელექტროენერგია გვაქვს. ელექტროენერგია კი თანამედროვე ფერმაში ისევეა საჭირო, როგორც წყალი. ელექტროენერგია როცა არ არის, ვერც საწველი და ვერც საკვებდასამზადებელი აგრეგატები ვერ მუშაობს. დენი ხშირად არ არის და ჩვენს მეცხოველეებსაც უჭირთ, წველობენ.

ხბორები კანტიკუნტად უკვე იბადებიან, მალე ასობით ჩვილი ხბო გვეყოლება. ხბორების გამოსაზრდელად კი ნორმალური პირობები არა გვაქვს. კომპლექსის შემოღობვა რაღაა, რომ ეს ვერ მოგვიხერხეს? უამისოდ ფერმაში როგორ უნდა დავიცვათ ზოოჰიგიენური წესები? ვიდრე კარგად დათბება, კომპლექსის ტერიტორია სასწრაფოდ უნდა შემოიღობოს, თორემ უწინდებურად პირუტყვის დაავადებას თავიდან ვერ ავიცილებთ. აი, რამდენი რამ არის სწრაფად მოსაგვარებელი გარეჯის კომპლექსში.

დ. მარხვაშვილი: ზარალის გამომწვევი ბევრი მიზეზი დავასახელეთ. კიდევ მეტის თქმა შეიძლება. ამ ბოლო დროს რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტმა დიდი დახმარება გაგვიწია. სატვირთო ავტომანქანები, დიდძალი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა მოგვეცა. მეცხოველეთა გადასაყვანად ოთხი ავტობუსიც გვაქვს, მაგრამ როგორც მეურნეობის სხვა მთავარმა სპეციალისტებმაც აღნიშნეს, მარტო ეს არ კმარა. თუ მშენებლებმა თავგამოდებით, გულიანად არ იმუშავეს და მალე არ დაამთავრეს კომპლექსის სარეკონსტრუქციო სამუშაოები, ისე შორს ვერ წავალთ.

კარგა ხანია მთავარი ინჟინერ-მექანიზატორი ვარ და ჩვენი მეურნეობის ავ-კარგი ვიცი. სად რა სახის მანქანა ივარგებს, სამუშაოებიც იმის მიხედვით უნდა წარვმართოთ. მართალია, ბევრი მანქანა გვაქვს, მაგრამ ბევრიც გვჭირდება. ვერ ვშოულობთ ჩვენი ზონისათვის საჭირო „პნ-8-35" მარკის გუთანს და „კ-701" ტრაქტორს; არა გვაქვს მინერალური სასუქის საფხვნელი და ორგანული სასუქის მოსაფანტი. არ გვყოფნის და ვერ ვშოულობთ სათადარიგო ნაწილებს, რის გამოც ხშირად ცდება მანქანები.

ნ. ჩაფიძე: მემცენარეობასა და, საერთოდ, საკვებწარმოებაში ურიგოდ არა გვაქვს საქმე. როგორც დავით მარხვაშვილმა თქვა, მინერალური სასუქების დამფხვნელი და ორგანული სასუქის მოსაფანტი მანქანები არა გვაქვს. ჩვენი მწირი ნიადაგები კი უსასუქოდ კარგ მოსავალს ვერ მოგვცემს. იქნებ წელს საგაზაფხულო სამუშაოთა გაჩაღებამდე მოგვაშველონ ეს მანქანები?

მეურნეობის 3.240 ჰექტარიდან 1.438 ჰექტარია სარწყავი. ეს ფართობი კარგად რომ დავამუშაოთ, უხვ მოსავალს მივიღებთ და ჩვენი ეკონომიკაც გაძლიერდება. სარწყავი ფართობი კი გვერიცხება, მაგრამ 1970 წელს დამთავრებული სარწყავი სისტემა მოუვლელობის გამო მწყობრიდან არის გამოსული და ფაქტობრივად არ მოქმედებს. ამასთან ნათესებს, ვენახს წყლის მიშვებით ვერ ვრწყავთ, რადგან სახნავ-სათესები და ზვრები ძალზე დაქანებულ ფართობზე მდებარეობს და წყლისმიერი ეროზიისაგან ნიადაგი ირეცხება, ვაკე ადგილები კი დაჭაობებულია. ეს რომ აღარ მოხდეს, საჭიროა დაწვიმებით მოვრწყათ. მხოლოდ ამ გზით ჩავაყენებთ ჩვენს მიწებს სიუხვის სამსახურში.

• • •

გარეჯელ სპეციალისტებს დამატებით შევეკითხეთ: თქვენ რომ დირექტორი იყოთ, რას გააკეთებდით მეურნეობა-კომპლექსის ზარალიდან თავდასაღწევად? ყველამ თითქმის ერთნაირად გვიპასუხა: დირექტორი რა შუაშია, მაგან რა ქნას, თუ მეურნეობა თავიდანვე მცდარად დაიგეგმა და კომპლექსიც კი ჩვენი პირობებისათვის ერთობ შეუფერებელ ადგილზე და უხეირო პროექტით აშენდა.

ნათქვამია, ურემი რომ გადაბრუნდება, გზა მერე გამოჩნდებაო. გზა კი გამოჩნდა, მაგრამ ეტყობა სახელმწიფოს ურმის გადაბრუნება ძვირად რომ დაუჯდა, წინანდელმა ხელმძღვანელებმა ეს აინუნშიც არ ჩააგდეს.

სამეურნეო საქმიანობის გასაუმჯობესებლად ზრუნვა კარგი და აუცილებელია, მაგრამ — მშრომელთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება? ეს არანაკლებ საფიქრალი და საზრუნავია. ამაზე ზრუნვაც ახლა დაიწყეს...

• • •

პარტიის საგარეჯოს რაიკომის პირველი მდივნის მედეა მეზვრიშვილის კომენტარი: გარეჯის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობა-კომპლექსის დირექტორისა და მთავარი სპეციალისტების მოსაზრება სწორია. კომპლექსი შეუფერებელ ადგილზეა. პროექტიც მიუღებელია. გაერთიანება „საქცხოველმრეწვის" მაშინდელი ხელმძღვანელების უყურადღებობის გამო მაინც აშენდა კომპლექსი, რაზეც დიდძალი თანხები, შრომა და მასალა სულ უქმად დაიხარჯა. შარშან რაიკომმა და რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტმა ერთობლივად საქმიანად ვიმსჯელეთ და სათანადო დადგენილებაც მივიღეთ.

ამ დადგენილების მიხედვით ბევრი რამ გაკეთდა; გასაკეთებელი, როგორც გარეჯელებიც ამბობენ, კვლავ ბევრია. წლეულს პირუტყვის გამოზამთრება და დახბოიანება ნორმალურად მიმდინარეობს. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ გაერთიანება „საქცხოველმრეწვი" და მშენებლობის სამინისტრო დააჩქარებენ მეცხოველეობის კომპლექსის სარეკონსტრუქციო სამუშაოებს და, ბოლოს, გარეჯის მეურნეობა თავს დააღწევს ზარალს. მართლაც, რატომ უნდა იგეგმებოდეს მეურნეობა წინდაწინ ზარალით?

• • •

გაზაფხული მოვიდა, მინდვრად თანდათან ჩაღდება სამუშაოები, ფერმებშიც გამოცოცხლება იგრძნობა. გარეჯელებს თავიანთი მეურნეობის ხელმძღვანელებისა სჯერათ, რომ წლეულს გარდატეხა მართლაც დაიწყება.

იმედი გვაქვს, რომ გარეჯელებს არ გააწბილებენ. თავიდათავი კი ის უნდა იყოს, რომ თვითონ გარეჯელები გულდაგულ გაისარჯონ და მაშინ წარმატება მართლაც მოვა, უთუოდ მოვა!

ვ. გოჩალიშვილი.

თოვლი და სუბტროპიკები, ყინვა და ციტრუსები... ეს სიტყვები უკანასკნელი 10-15 წლის მანძილზე ხშირად გაისმის ერთად. წლევანდელმა ცივმა ზამთარმა, რომელიც არნახული იყო თავისი ხანგრძლივობით ჩვენი სუბტროპიკებისათვის, მძიმე კვალი დატოვა. მოყინულ და გამხმარ ციტრუსის ხეებს დაინახავთ დასავლეთ საქართველოს, აფხაზეთისა და აჭარის ბევრ რაიონში.

ციტრუსის ბაღების აღდგენის პრობლემა ახლა განსაკუთრებით მწვავედ დგას დღის წესრიგში. საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებულმა საზოგადოებრივი აზრის შესწავლის, ფორმირებისა და პროგნოზირების ცენტრმა სთხოვა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს, უამინდობის შედეგების ლიკვიდაციის რესპუბლიკური კომისიის თავმჯდომარეს ო. გ. ვარძელაშვილს ეპასუხა რამდენიმე კითხვაზე.

ცენტრი
ЦЕНТР

ციტრუსის ბაღი: დღის პრობლემები

— პატივცემულო ომარ, რამდენად მოულოდნელი იყო აცივება და რა როლი შეასრულეს მის წინასწარმეტყველებაში სინოპტიკოსებმა?

— მეციტრუსეობა სარისკო დარგია საქართველოს სოფლის მეურნეობისათვის და არა მარტო ჩვენი სუბტროპიკებისათვის, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე ჩრდილოურია მსოფლიოში. რისკისაგან დაზღვეული არ არიან ისეთი ქვეყნებიც კი, როგორიც არის ესპანეთი, საბერძნეთი, იტალია, რომლებმაც, აქვე უნდა აღინიშნოს, ამ ზამთარს გვარიანად დაკარგეს ციტრუსები. აცივება, როგორც სტატისტიკა გვიჩვენებს, არცთუ ისე იშვიათია — იგი 10-12 წელიწადში ერთხელ ხდება. იგი არ არის ანომალია, მაგრამ მაინც არსებით ზარალს აყენებს დარგს. რაც შეეხება ამინდის პროგნოზირების სამსახურს, მან სამი-ოთხი დღით ადრე მოგვცა სიგნალი მოახლოებული აცივების შესახებ. რესპუბლიკაში ოპერატიულად განხორციელდა დამცავი ღონისძიებანი. მიწათმოქმედთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათი თავდადებული შრომის, ჩინებული დისციპლინისა და ორგანიზებულობის წყალობით ზარალი მოსალოდნელზე ნაკლები აღმოჩნდა.

— თუ გავითვალისწინებთ რისკს, იბადება კითხვა, რამდენად მიზანშეწონილია მეციტრუსეობის განვითარება ჩვენს რესპუბლიკაში?

— ეკონომისტთა გაანგარიშებანი, რომლებიც ამინდის პირობებს არ ითვალისწინებენ, მოწმობს, რომ სუბტროპიკული მიწათმოქმედების ეს დარგი ჩვენი რესპუბლიკისათვის მთლიანად მეტად რენტაბელურია. ამ დასკვნას საფუძვლად უდევს ის, რომ ყველა სუსხიანი ზამთარი როდია იმდენად გამანადგურებელი, რომ ზარალის ანაზღაურება შემდგომში შეუძლებელი იყოს. პირიქით, ზამთრებს შორის პერიოდში არის მოსავლიანი წლებიც, რომლებიც საშუალებას გვაძლევს ავანაზღაუროთ დანაკარგები.

მაგრამ აქვე უნდა დავსძინოთ, რომ წლევანდელი ზამთარი განსაკუთრებული იყო კრიზისული ტემპერატურების ხანგრძლივობით. თავად განსაჯეთ, ჰაერის ტემპერატურა სუბტროპიკებში ალაგ-ალაგ ეცემოდა მინუს 17 გრადუსამდე, ხოლო მინუს 8-14 გრადუსი ტემპერატურა თითქმის 20 დღეს გაგრძელდა. ლიმონი კი იღუპება მინუს 6 გრადუსზე, ფორთოხალი — მინუს 8, მანდარინი — მინუს 12 გრადუსზე. საერთო სიტუაცია გაართულა თოვამ. ქობულეთის, ხელვაჩაურის და მახარაძის რაიონებში, ქალაქ ფოთის ზონაში თოვლის საფარის სიმაღლე ორ მეტრს აღწევდა. თოვლით დამძიმებული ტოტები ტყდებოდა. ხოლო ქალაქ გაგრის ზონაში, გუდაუთის, სოხუმის, ოჩამჩირის და ზონის რაიონებში გრიგალისებური ქარები ამოვარდა და დააზიანა ნარგავების ჯგუფური საფარისათვის გათვალისწინებული ლითონისა და პოლიმერის კარკასები.

— რამდენად ეფექტიანი აღმოჩნდა პროფილაქტიკური ღონისძიებანი?

— მეურნეობათა დიდ უმრავლესობაში მაღალ აგროტექნიკურ დონეზე და დროულად განხორციელდა ციტრუსების გამოზამთრებისწინა ღონისძიებანი. მხედველობაში მაქვს ხეების მიწის შემოყრა და აკვრა, მათი დაფარვა „ციტრუსის" ქსოვილით. ეს სამუშაოები სრულდებოდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებებით ციტრუსების დაცვის მიზნობრივი პროგრამის განხორციელების შესახებ. ზოგიერთ მეურნეობაში, მაგალითად, გაგრის მეციტრუსეობის საბჭოთა მეურნეობაში აითვისეს ბაღების გაზით გათბობა, რამაც არსებითი ეფექტი მოგვცა, გამოიყენეს აგრეთვე გათბობა ინფრაწითელი სხივებით, თერმული წყლების, რეაქტიული ძრავების, ბოლვადი მასალების მეშვეობით.

სუსხის დადგომამდე დიდი ხნით ადრე მოეწყო ციტრუსის ბაღების დათვალიერება, რომლის დროსაც აღმოიფხვრა ბევრი ხარვეზი და თუ არა ესოდენ მკაცრი ზამთარი, დარგის მთელი ისტორიის მანძილზე რეკორდულ მოსავალს მივიღებდით.

— მაინც რა ოდენობის ზარალი განიცადა დარგმა?

—დანაკარგის განსაზღვრისათვის — იგი კი, როგორც უკვე დღეს შეგვიძლია ვივარაუდოთ, მოსალოდნელი მოსავლის 50-60 პროცენტს შეადგენს, შექმნილია რეგიონალური კომისიები რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოების, სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკთა, მეცნიერთა მონაწილეობით. მათ მიერ შემუშავებული პირველი რეკომენდაციები უკვე დაედო საფუძვლად აღდგენით ღონისძიებებს.

შემუშავებულია რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებების მხრივ როგორც საზოგადოებრივი მეურნეობებისადმი, ისე სოფლის მოსახლეობისადმი ყოველმხრივი დახმარების კონკრეტული წინადადებანი. სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტმა და ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების საკავშირო სამეცნიერო საწარმოო გაერთიანებამ შემოიღეს დაზარალებული ნარგავების აღრიცხვის ჟურნალები, დაგზავნეს ხეების მოვლის რეკომენდაციები და ინსტრუქციები.

მოწონებულია კახეთის, ქართლის, მესხეთ-ჯავახეთის და რესპუბლიკის სხვა რეგიონების ბევრი კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის ინიციატივა საკუთარი ტრანსპორტით დასავლეთ საქართველოს რაიონებში ორგანული სასუქების გადაზიდვის შესახებ. ეს თაოსნობა უკვე ხორციელდება.

აღდგენით ღონისძიებათა ფართო წრე ერთ საერთო მიზანს ისახავს — შეიქმნას სიცივის შედეგების ლიკვიდაციის პირობები და ხელი შეეწყოს დარგის შემდგომ ინტენსიურ განვითარებას იმ ამოცანების შესაბამისად, რომლებიც პარტიამ და მთავრობამ დასახეს.

მეციტრუსეობის ბედი საქართველოში, რომელიც ქვეყანაში მთელი ციტრუსების 99 პროცენტს აწარმოებს, ახლა აღელვებს საკავშირო სადირექტივო ორგანოებსაც. სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს მითითებით რესპუბლიკაში ჩამოვიდა პასუხისმგებელ მუშაკთა ჯგუფი. მათ გულდასმით შეისწავლეს ადგილებზე საქმის ვითარება და უახლოეს დღეებში სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში წარადგენენ წინადადებებს ჩვენი რესპუბლიკისათვის საჭირო დახმარების გაწევის, მეციტრუსეობის შემდგომი განვითარების პირობების შექმნის შესახებ.

სტუდენტური დღეები — 85

არაერთი სასარგებლო საქმით გამოიჩინეს თავი საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ენერგეტიკის ფაკულტეტის სტუდენტებმა, რომლებიც აქტიურად არიან ჩაბმული სამეცნიერო-კვლევით მუშაობაში. იშვიათი როდია შემთხვევა, როცა სტუდენტთა სამეცნიერო შრომების შედეგები პრაქტიკაში ინერგება. აი, ამ ცოტა ხნის წინათ თბილისის თბოელექტროცენტრალში დანერგეს ინსტიტუტის კურსდამთავრებულის ე. ბედინაშვილის იმ ნაშრომის შედეგები, რომლის თემა იყო დაბალხარისხოვან მყარ სათბობებზე მომუშავე ორთქლგენერატორების დაპროექტება. ამის მეოხებით წელიწადში 2000 ტონა პირობითი სათბობი იზოგება.

წარმატებით ფრთაშესხმული ახალგაზრდები კიდევ უფრო ბეჯითობენ მუშაობაში.

სურათზე: თბოტექნიკის კათედრის ლაბორატორიაში თბოგადაცემის ინტენსიფიკაციის საკვლევ ექსპერიმენტულ დანადგართან კვლევის შედეგებს აჯამებენ სტუდენტები დ. სულუხია, ი. ჭელიძე, ინსტიტუტის კურსდამთავრებული, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მედლის მფლობელი ე. ბედინაშვილი, სტუდენტი მ. ხესიტაშვილი.

თ. ნიკოლაიშვილის ფოტო.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმი

ვ. ი. ტერებილოვის თავმჯდომარეობით გაიმართა სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს მორიგი პლენუმი.

პლენუმმა შეაჯამა სასამართლო საქმიანობის 1984 წლის უმნიშვნელოვანესი შედეგები, ამასთან სასამართლოებს მიზნად დაუსახა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის მარტის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულება, პლენუმისა, რომელმაც ხაზი გაუსვა, კერძოდ, რომ კვლავაც გადამწყვეტი ღონისძიებანი განხორციელდება იმისათვის, რომ კიდევ უფრო განმტკიცდეს წესრიგი, ჩვენი ცხოვრება გაიწმინდოს უცხო მოვლენებისაგან, საზოგადოებისა და მისი მოქალაქეების ინტერესების, სოციალისტური კანონიერების განმტკიცების ყოველგვარი ხელყოფისაგან.

პლენუმმა აგრეთვე სასამართლოებს დაავალა განახორციელონ სათანადო ღონისძიებანი პარტიის მორიგი XXVII ყრილობის მზადებისათვის.

განიხილეს საკითხი იმის თაობაზე, თუ როგორ იყენებენ სასამართლოები კანონმდებლობას სამრეწველო საწარმოებში უხარისხო, არასტანდარტული ან არაკომპლექტური პროდუქციის გამოშვებისათვის, აგრეთვე სავაჭრო საწარმოებში გასაყიდად ასეთი საქონლის გაგზავნისათვის პასუხისმგებლობის შესახებ. მიღებულ დადგენილებაში სასამართლოების ყურადღება მიეპყრო იმას, რომ კანონის მიერ გათვალისწინებული პასუხისმგებლობა ბრალეულთ უნდა დაეკისროთ, როგორც დამამზადებელი საწარმოებიდან არასათანადო ხარისხის პროდუქციის გამოშვებისათვის, ისე გასაყიდად მისი გაგზავნისათვის.

უხარისხო, არასტანდარტული ან არაკომპლექტური პროდუქციის გამოშვებისას პასუხისმგებლობა ეკისრებათ არა მარტო საწარმოო-ტექნიკური დანიშნულების ან სახალხო მოხმარების საქონლის მწარმოებელი საწარმოების, არამედ აგრეთვე იმ საწარმოების დირექტორებს, მთავარ ინჟინრებსა და კანონით აღნიშნულ სხვა თანამდებობების პირთ, რომლებიც ასრულებენ მოწყობილობის, მანქანების, მექანიზმების სამრეწველო რემონტს. აღნიშნულ პირებს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროთ როგორც განზრახვითი, ისე გაუფრთხილებლობითი ბრალის შემთხვევაში. განსაკუთრებით გაესვა ხაზი იმას, რომ არასათანადო ხარისხის პროდუქციის გამოშვება არ შეიძლება იყოს გამართლებული სხვა საწარმოების მიერ უხარისხო ნედლეულის ან მაკომპლექტებელი ნაწარმის გამოყენებით. ამასთან დაკავშირებით სასამართლოებს წინადადება მიეცათ საგულდაგულოდ გამოარკვიონ, რომელმა საწარმოებმა გამოგზავნეს უხარისხო ნედლეული ან მაკომპლექტებელი ნაწარმი, და გადაწყვიტონ ბრალეულ პირთა პასუხისმგებლობის საკითხი.

უხარისხო, არასტანდარტული ან არაკომპლექტური საქონლის გასაყიდად გაგზავნისათვის პასუხისმგებლობა ბრალეულთ უნდა დაეკისროთ იმის მიუხედავად, გაიგზავნა თუ არა ეს საქონელი ასეთი სახით დამამზადებელი საწარმოებიდან თუ ისინი გაფუჭდა თავად მაღაზიებში, სავაჭრო ბაზებში, საწყობებში, სექციებში. სისხლის სამართლებრივად უნდა დაისაჯოს უკვე თავად გასაყიდად ასეთი საქონლის გაგზავნა, მყიდველისათვის მისი ფაქტობრივი მიყიდვა სავალდებულო არ არის.

არასათანადო ხარისხის საქონლის გაყიდვასთან დაკავშირებით წამოჭრილი დავის გადაწყვეტისას სასამართლოებმა მხედველობაში უნდა მიიღონ ის, რომ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად დასაშვებია მყიდველის მიერ წამოყენებულ მოთხოვნათა დაკმაყოფილების შემდეგი წესები: ნაყიდი ნივთის შეცვლა სათანადო ხარისხის მეორე ასეთივე ნივთით; შესასყიდი ფასის თანაზომიერი შემცირება; ნივთის ნაკლოვანებათა უსასყიდლო აღმოფხვრა ან მის ნაკლოვანებათა გამოსწორებისათვის თავად მყიდველის მიერ გაღებული ხარჯების ანაზღაურება; ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების მოშლა მყიდველისათვის ზარალის ანაზღაურებით.

ისეთ შემთხვევებში, როცა საცალო სავაჭრო საწარმოებში გასაყიდი ნივთებისათვის დადგენილია საგარანტიო ვადა, გამყიდველი ვალდებულია ამ ვადის ფარგლებში უსასყიდლოდ აღმოფხვრას გაყიდული ნივთის ნაკლოვანებანი ან შეცვალოს იგი სათანადო ხარისხის ნივთით ანდა ჩაიბაროს იგი უკან და დაუბრუნოს მყიდველს გადახდილი თანხა. ნივთის გამოცვლის ან მისი მყიდველისათვის დაბრუნებისა და ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების მოშლის უფლება მყიდველს ეძლევა მაშინაც, როცა საგარანტიო სახელოსნო ან დამამზადებელი საწარმო დადგენილ ვადაში არ აღმოფხვრის გამოვლენილ დეფექტს. თუ გაყიდული ნივთის კონსტრუქციული ან ფარული საწარმოო ნაკლი გამოვლინდა საგარანტიო ვადის გასვლის შემდეგ, მყიდველს უფლება აქვს მოითხოვოს დამამზადებელი საწარმოსაგან მისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

პლენუმმა გადაწყვიტა აგრეთვე ზოგიერთი საკითხი, რომლებიც უკავშირდება უხარისხო სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის, სასუქებისა და სხვა მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების მიწოდების, აგრეთვე ტრაქტორების, ავტომანქანების, სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და მოწყობილობის უხარისხო რემონტის შედეგად კოლმეურნეობებისათვის, საკოლმეურნეობათაშორისო და სახელმწიფო-საკოლმეურნეო საწარმოებისათვის მიყენებული მატერიალური ზარალის ანაზღაურებას.

განხილულია საკითხი იმის თაობაზე, თუ როგორ იყენებენ სასამართლოები კანონმდებლობას, რომელიც არეგლამენტებს ზედამხედველობის წესით კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს სისხლის სამართლის საქმეთა შესახებ. ასეთი გადასინჯვა კანონში აღნიშნულ პირთა პროტესტების გამო უნდა მოახდინონ საოლქო, სამხარეო, საქალაქო სასამართლოების, ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოების პრეზიდიუმებმა, მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოების სასამართლო კოლეგიებმა, პრეზიდიუმებმა და პლენუმებმა.

საზედამხედველო ინსტანციათა სასამართლოებს წინადადება მიეცათ გააძლიერონ ზედამხედველობა კანონმდებლობის გამოყენებისადმი, უფრო მწვავედ რეაგირებდნენ დაშვებულ შეცდომებსა და კანონის დარღვევებზე, ამასთან შესაბამისი სასამართლოების, პროკურატურისა და საგამოძიებო ორგანოების ყურადღება მიაპყრონ ამ საკითხებზე კერძო განჩინებათა გამოტანის გზით.

პლენუმზე განიხილეს საკითხი იმის თაობაზე, პრაქტიკულად როგორ იყენებენ სასამართლოები კანონმდებლობას კოლმეურნეობების, საკოლმეურნეობათაშორისო, სახელმწიფო-საკოლმეურნეო საწარმოების, ორგანიზაციებისა და გაერთიანებების მონაწილეობით სამეურნეო ხელშეკრულებების დადებასთან, შეცვლასთან და მოშლასთან დაკავშირებით წამოჭრილი დავის გადაწყვეტის დროს.

აღინიშნა, რომ ასეთ საქმეთა განხილვის დროს სასამართლოები უნდა ხელმძღვანელობდნენ იმით, რომ საჭიროა განავითარონ მხარეთა თანამშრომლობა საბოლოო შედეგის მიღწევაში — საჭირო რაოდენობის ასორტიმენტისა და მაღალი ხარისხის სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებაში.

კონტროლის წესით მოისმინეს მოხსენებანი იმის შესახებ, თუ როგორ ასრულებენ ესტონეთის სსრ სასამართლოები სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1976 წლის 25 ივნისის დადგენილებას სასამართლოთა მიერ „რეციდივული დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ კანონმდებლობის გამოყენების პრაქტიკის თაობაზე“.

სასამართლოებს წინადადება მიეცათ განმეორებითი დანაშაულისა და პროფილაქტიკურ ღონისძიებათა განხორციელების გამო საქმეთა განხილვის დროს გამოიყენონ ლოთობისა და ალკოჰოლიზმის აღკვეთის ყველა სამართლებრივი საშუალება, ქრონიკული ალკოჰოლიკებისადმი გამოიყენონ ალკოჰოლიზმისაგან იძულებითი მკურნალობა, მიაღწიონ, რომ აღმოიფხვრას თანამდებობის პირთა მიერ დაშვებული ხარვეზები, რომლებსაც დროზე არ მიუღიათ წარმოებაში ლოთობისა და შრომის დისციპლინის დარღვევების აღკვეთის ზომები; თითოეულ შემთხვევაში, როცა დამნაშავენი, რომლებიც არასრულწლოვანთ ჩაითრევენ ლოთობაში, ან მათ დათრობის მდგომარეობამდე მიიყვანენ, უნდა მიეცნენ დადგენილ პასუხისგებაში. აღინიშნა, რომ საჭიროა გაძლიერდეს ზედამხედველობა სასამართლოების მიერ თავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან პირობით განთავისუფლების შესახებ კანონმდებლობის გამოყენებისადმი, ამასთან შრომაში, სავალდებულო ჩაბმით, რათა გამოირიცხოს ფაქტები, როცა ამ კანონმდებლობას დაუსაბუთებლად იყენებენ პირებისადმი, რომლებიც არ დასდგომიან გამოსწორების გზას.

სსრ კავშირის გენერალური პროკურორის წარდგინებით განხილულია იმ კანონმდებლობის გამოყენების ზოგიერთი საკითხი, რომლებიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას შრომა-გასწორების დაწესებულებების ადმინისტრაციის მოთხოვნებისადმი იმ პირთა ბოროტი დაუმორჩილებლობისათვის, რომლებიც სასჯელს იხდიან თავისუფლების აღკვეთის ადგილებში. სასამართლოებს მიეცათ შესაბამისი ახსნა-განმარტებანი.

პლენუმმა განიხილა აგრეთვე სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარისა და სსრ კავშირის გენერალური პროკურორის პროტესტები სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეთა გამო. ამ საკითხებზე მიღებული დადგენილებანი სასამართლოებს ორიენტირად უსახავენ ყოველნაირად დაიცვან მოქალაქეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები, გააძლიერონ ბრძოლა სოციალისტური საკუთრების დატაცებასთან, წამატებებთან, მექრთამეობასთან და სხვა მძიმე დანაშაულობებთან, განუხრელად დაიცვან კანონმდებლობა შრომისა და სახელმწიფო დისციპლინის შესახებ.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდნენ სსრ კავშირის გენერალური პროკურორი ა. მ. რეკუნკოვი და სსრ კავშირის იუსტიციის მინისტრი ბ. ვ. კრავცოვი.

უცხოეთში

ფაქტები მოვლენები

10 აპრილი ▬ საკდესი იუწყება

მშვიდობის კურსით — მტკიცედ, თანამიმდევრულად

მსოფლიო საზოგადოებრიობის ცხოველ ინტერესს იწვევს სსრ კავშირის ახალი სამშვიდობო ინიციატივები

სსრ კავშირის ახალი სამშვიდობო ინიციატივები მკაფიოდ მოწმობენ, რომ საბჭოთა კავშირი მშვიდობისმოყვარულად, ღრმად და რეალისტურად ეკიდება თანამედროვეობის უმნიშვნელოვანეს პრობლემებს. ასეთია საზღვარგარეთის თვალსაჩინო პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწეების, პრესის სხვადასხვა ორგანოს გამონათქვამების ლაიტმოტივი, რომლებიც კვლავ ფართოდ განმარტავენ მ. ს. გორბაჩოვის საუბარს გაზეთ „პრავდის“ რედაქტორთან. პრესის მასალებში ხაზგასმულია, რომ ეს საბჭოთა ინიციატივები დიდი კონკრეტული წვლილია საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისა და ხალხთა საიმედო უშიშროების უზრუნველყოფის საქმეში, ისინი გამსჭვალულია კაცობრიობის ბედისათვის ღრმა პასუხისმგებლობის გრძნობით.

თვალსაჩინო ამერიკელმა კონგრესმენებმა ე. მარკიმ, რ. დელემსმა, მ. ბარნსმა, ჯ. ადაბომ და სხვებმა ადმინისტრაციას მოუწოდეს ჟენევის მოლაპარაკების პერიოდში მორატორიუმი დაუწესოს საშუალო სიშორის ბირთვული იარაღის, სტრატეგიული და კოსმოსური შეიარაღების გამოცდასა და განლაგებას, აგრეთვე შეწყვიტოს ამ დროისათვის ბირთვული იარაღის მიწისქვეშა გამოცდები. პრეზიდენტ რეიგანის სახელზე გაგზავნილ წერილში, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის წარმომადგენელთა პალატის 38 წევრი აწერს ხელს, მათ გამოთქვეს შეშფოთება გამალებული შეიარაღების განვრცობის გამო და ხაზი გაუსვეს, რომ მისი შემდგომი ესკალაცია ხელს შეუშლის ჟენევის მოლაპარაკების მიზნების მიღწევას და ჩაფუშავს მისი წარმატებით დამთავრების შანსს.

საბჭოთა ხელმძღვანელის მიერ წამოყენებული წინადადებები იმედისმომცემ პერსპექტივებს სახავს იმ მორიგებათა მიღწევის გზაზე, რომელთა მიზანია გამალებული შეიარაღების ალაგმვა და საერთაშორისო დაძაბულობის შენელება, განაცხადა ამერიკის შეერთებული შტატების მშვიდობის საბჭოს აღმასრულებელმა დირექტორმა მ. მ. მაიერსონმა. ჟენევის მოლაპარაკების პერიოდში საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების მიერ დამკვრელი კოსმოსური შეიარაღების შექმნის, კერძოდ, სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების გამოცდისა და განლაგების მორატორიუმის შემოღება, აგრეთვე სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების გაყინვა, როგორც ამას საბჭოთა კავშირი გვთავაზობს, უთუოდ ხელს შეუწყობს ბირთვული საფრთხის შესუსტებასა და მოლაპარაკების წარმატებისათვის საჭირო ნდობის კლიმატის შექმნას. სწორედ ასეთი ვითარების შექმნაში კონკრეტული და მნიშვნელოვანი წვლილია ის, რომ საბჭოთა კავშირმა მორატორიუმი დაუწესა თავისი საშუალო სიშორის რაკეტების განლაგებასა და ევროპაში სხვა საპასუხო ღონისძიებათა განხორციელებას. საბჭოთა წინადადებაზე თეთრი სახლის უარყოფით რეაქციას სხვა ვერაფრად მივიჩნევთ, თუ არა ვაშინგტონის იმ მისწრაფების დადასტურებად, რომ ჟენევის მოლაპარაკება გამოიყენოს საფარად ახალი მილიტარისტული პროგრამების მიღებისათვის.

ამავე დროს, როგორც მიღებული ცნობები მოწმობენ, ოფიციალური ვაშინგტონი, რომელიც სიტყვით ქადაგებს „შეიარაღებისადმი კონტროლს“, კვლავ ყოველ ღონეს ხმარობს, რათა გაცვეთილი პროპაგანდისტული შტამპების მეშვეობით გაამართლოს საბჭოთა ინიციატივებისადმი თავისი ნეგატიური დამოკიდებულება. სწორედ ამ სულისკვეთებით იყო გამსჭვალული ეროვნული უშიშროების საკითხებში პრეზიდენტის თანაშემწის რ. მაკფარლეინის მიერ ენ-ბი-სი ტელეკომპანიისათვის მიცემული ინტერვიუ, რომელშიც იგი ამტკიცებდა, თითქოს ეს ინიციატივა წინანდელი წინადადების „გამეორება“ იყოს. ეს პოზიცია იმდენად ეწინააღმდეგება აშკარა ფაქტებს, რომ მაკფარლეინს პირდაპირ ჰკითხეს: „რატომ მიგაჩნიათ, რომ ეს წინადადება არასერიოზულია? საბჭოთა კავშირმა ხომ შემოგვთავაზა დაუყოვნებლივ შემოგვეღო მორატორიუმი სულ ცოტა ექვსი თვის ვადით. მას არ მოუთხოვია, რომ ამ ექვს თვეში ნატოს შეეწყვიტა განლაგება“. პასუხად მაკფარლეინმა ვერაფერი დამაჯერებელი ვერ თქვა.

„სისულელეა“ — წერს ამის გამო ლონდონის „დეილი ექსპრესი“, — უარყო წინადადება ევროპაში საშუალო სიშორის რაკეტების მორატორიუმის შესახებ იმ საფუძველზე, რომ მოსკოვს უკვე წამოუყენებია ანალოგიური ინიციატივები“. დასავლელმა ლიდერებმა, წერს ინგლისის მეორე გაზეთი „გარდიანი“ იჩქარეს საბჭოთა წინადადება მოსკოვის პროპაგანდისტულ მოქმედებად გამოეცხადებინათ.

დასავლეთგერმანელი სოციალ-დემოკრატები და „მწვანეთა“ პარტია მიესალმებიან მოსკოვის მიერ წამოყენებულ წინადადებას, რომ სსრ კავშირმა და ამერიკის შეერთებულმა შტატებმა მორატორიუმი დაუწესონ დამკვრელ კოსმოსურ სისტემებსა და სტრატეგიულ შეტევით შეიარაღებას.

„საბჭოთა კავშირის ახალი სამშვიდობო შეტევა“ უწოდა მ. ს. გორბაჩოვის მიერ წამოყენებულ წინადადებას საფრანგეთის „ანტენ-2“ ეროვნული ტელეკომპანიის კომენტატორმა, რომელმაც ხაზი გაუსვა, რომ საბჭოთა ინიციატივებს ფართოდ გამოეხმაურნენ დასავლეთ ევროპაში, სადაც ახლა მიმდინარეობს მასობრივი საგაზაფხულო „მშვიდობის მარშები“.

„საბჭოთა კავშირის ახლანდელი ღონისძიება მოწმობს მის მისწრაფებას განაახლოს დაძაბულობის შენელება და გარდატეხას მიაღწიოს ბირთვული და კოსმოსური შეიარაღების შესახებ მოლაპარაკებაზე“, წერს იაპონიის „მაინიტი“. გაზეთი ამერიკის შეერთებულ შტატებს მოუწოდებს საგულდაგულოდ შეისწავლოს სსრ კავშირის წინადადებანი.

მისასალმებელია საბჭოთა კავშირის მიერ მშვიდობის განმტკიცების გზაზე გადადგმული ახალი გაბედული ნაბიჯი, წერს ინდური „ნეშნლ ჰერალდი“, საბჭოთა კავშირი, ხაზს უსვამს გაზეთი, სულაც არ უყურებს მსოფლიოს მხოლოდ საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის პრიზმით. მოსკოვში ესმით, თუ როგორია სხვა ქვეყნების მნიშვნელობა საერთაშორისო საქმეებში და ამას ითვალისწინებენ მსოფლიოში საერთო ვითარების შეფასებისას.

სიტყვა კი არა, საქმე, ზოგადი ლოზუნგები კი არა, კონკრეტული ღონისძიებანი, რეალისტური გადაწყვეტები და საკუთარი მაგალითი, — ასეთია საბჭოთა საგარეო პოლიტიკის არსი, ხაზს უსვამს პოლონური „ტრიბუნა ლუდუ“.

კანადა შეაჯამეს ყრილობის შედეგები

ტორონტო. აქ გაიმართა კანადის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი. პლენუმმა აირჩია ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი 14 კაცის შემადგენლობით და ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 6 წევრობის კანდიდატი. კომპარტიის გენერალურ მდივნად კვლავ აირჩიეს უილიამ კაშტანი.

საბოლოო სიტყვა წარმოთქვა უ. კაშტანმა. მან შეაჯამა პარტიული ფორუმის მუშაობის შედეგები და მოუწოდა ყველა კომუნისტს აქტიური მონაწილეობა მიიღოს კანადელი მშრომელების ინტერესებისა და ქვეყნის ეროვნული დამოუკიდებლობის დაცვისათვის, საყოველთაო მშვიდობის განმტკიცებისათვის გამიზნული გადაწყვეტილებების განხორციელებაში.

ა შ შ

სესიამ მუშაობა განაახლა

ნიუ-იორკი. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შტაბ-ბინაში მუშაობა განაახლა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის 39-ე სესიამ.

პლენარულ სხდომაზე მისმა მონაწილეებმა დაამტკიცეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს მოხსენება, ხოლო ეკონომიკური და სოციალური საბჭოს მოხსენების გამო მიიღეს რეზოლუცია მომხმარებელთა ინტერესების დაცვის თაობაზე. სესიის დღის წესრიგშია აგრეთვე განვითარების მიზნით საერთაშორისო ეკონომიკური თანამშრომლობის შესახებ გლობალური მოლაპარაკების დაწყების საკითხი, რომელიც ჩაიშალა ამერიკის შეერთებული შტატების მეთაურობით დასავლეთის ქვეყნების მიზეზით, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მსოფლიო კონფერენციის მომზადება ქალის ათწლეულის მიღწევათა მიმოხილვისა და შეფასებისათვის, ზოგიერთი ორგანიზაციული და ადმინისტრაციულ-საბიუჯეტო საკითხი.

მფარველობენ ნეონაცისტებს

ნიუ-იორკი. ნეონაცისტური ბანდის „წესრიგის“ ერთ-ერთი მეთაური დევიდ ლეინი აშკარად ქადაგებს კაცთმოძულე იდეებს და გამომწვევად, თავხედურად იქცევა თვით... საპყრობილეშიც. მას სულაც არ აშინებს იმის უცილობელი მტკიცებულებანი, რომ იგი მონაწილეობდა ინკასატორების მანქანებისა და ბანკების შეიარაღებულ ძარცვაში, ყალბი ფულის ბეჭდვაში და კოლორადოს შტატის ქალაქ დენვერში რადიოსადგურის დირექტორის ეროვნებით ებრაელის ალან ბერგის მხეცურ მკვლელობაში, რომელიც აშკარად ილაშქრებდა ქვეყანაში ულტრამემარჯვენე დაჯგუფებათა თარეშის წინააღმდეგ.

ლეინს ამგვარი თვითდაჯერების საფუძველს აძლევს მისადმი ხელისუფალთა აშკარა შემწყნარებლობა. მოათავსეს რა იგი წინასწარი პატიმრობის საკანში, საგამოძიებო ორგანოებმა აქვე საქვეყნოდ განაცხადეს, თითქოს საქმეში „ბევრი რამ გაურკვეველია“. ამავე დროს ნეონაცისტს გარემოსამყაროსთან ურთიერთობის სრული თავისუფლება მიანიჭეს.

შრომა და კაპიტალი

პოლიცია მუშების წინააღმდეგ

დანია

კოპენჰაგენი. პოლიციის გაძლიერებული რაზმები გამოიყვანეს მუშათა პიკეტების დასარბევად, რომლებმაც გადაკეტეს დანიის ფოლკეტინგთან (პარლამენტთან) მისასვლელი გზები. მშრომელებმა ეს აქცია განახორციელეს შლიუტერის ბურჟუაზიული კაბინეტის იმ განზრახვის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად, რომ პარლამენტს მიეღებინოს კანონპროექტი მშრომელთა მასობრივი გაფიცვის შეწყვეტის თაობაზე. ბევრი მოპიკეტე დააპატიმრეს.

შრომითი კონფლიქტი, რომელშიც 300 ათასზე მეტი კაცი მონაწილეობს, გამოწვეულია მეწარმეთა უარით დააკმაყოფილონ მუშათა და მოსამსახურეთა სამართლიანი მოთხოვნები ხელფასის მომატებისა და შრომის პირობების გაუმჯობესების შესახებ.

• • •

სურათზე: ერთ-ერთი დემონსტრანტის დაპატიმრება.

რეიტერ-საკდესის ფოტო.

პენტაგონის უხეში მონაჩმახი

დეზინფორმაციისა და ცილისწამების მორიგი ცდა

ნიუ-იორკი. პენტაგონის ბროშურა „საბჭოთა კავშირის სამხედრო ძლიერება“ უხეში მონაჩმახია, ეს არის „ქორების“ მორიგი ცდა დეზინფორმაციისა და ცილისწამების მეშვეობით ჩაფუშონ მეცადინეობა შეიარაღებისადმი კონტროლის დარგში და გაამართლონ პენტაგონის შემდგომი მასირებული საომარი მზადება, განაცხადა ამერიკის შეერთებული შტატების თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწემ და მეცნიერმა, ბრიჯპორტის უნივერსიტეტის პროფესორმა გ. პარსონსმა.

ამ თხზულების ავტორები, აღნიშნა საკდესის კორესპონდენტისათვის მიცემულ ინტერვიუში ამერიკელმა პროფესორმა, აცხადებენ, თითქოს ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო პროგრამები სსრ კავშირის რაღაც „უპირატესობის“ ლიკვიდაციას ისახავდეს მიზნად. მაგრამ საყოველთაოდ ცნობილია, და ეს არაერთხელ უღიარებიათ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მოღვაწეებს და პენტაგონის წარმომადგენლებსაც კი, რომ სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის სამხედრო დარგში დაახლოებითი წონასწორობა არსებობს. ვაშინგტონის მიერ პირველი დარტყმის ბირთვული იარაღის ახალი სისტემებისა და მათი დასაცავი კოსმოსური „ფარის“ შექმნა სხვა არა არის რა, თუ არა ამ წონასწორობის დარღვევის ცდა.

აშკარა სიცრუე უწოდა გ. პარსონსმა პენტაგონის თეზისს ვითომდა ამერიკის შეერთებული შტატები კი არა, საბჭოთა კავშირი ახორციელებდეს დაჩქარებული ტემპით კოსმოსის მილიტარიზაციის პროგრამებს. სწორედ სსრ კავშირი, აღნიშნა მან, თანამიმდევრულად იჩენდა კონსტრუქციულ ინიციატივებს კოსმოსში გამალებული შეიარაღების გადატანის თავიდან აცილებისა და ყველა სახეობის კოსმოსური იარაღის აკრძალვის თაობაზე. სწორედ სსრ კავშირის წყალობით შევიდა ეს საკითხი საბჭოთა კავშირ-ამერიკის ბირთვული და კოსმოსური შეიარაღებისადმი მიძღვნილი ჟენევის მოლაპარაკების დღის წესრიგში. საზოგადოებრიობის დაშინებას კვლავ ცდილობენ მითური „საბჭოთა საფრთხით“, რათა კონგრესს დაამტკიცებინონ გამალებული შეიარაღებისათვის გათვალისწინებული ახალი რეკორდული ასიგნებანი, აღნიშნა გ. პარსონსმა. ამ პირობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სსრ კავშირის თანამიმდევრულ ბრძოლას ომის საფრთხის ლიკვიდაციისათვის, მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცებისათვის. საბჭოთა კავშირმა კვლავ გამოავლინა კეთილი ნება, როცა მორატორიუმი დაუწესა თავისი საშუალო სიშორის რაკეტების განლაგებას და შეაჩერა სხვა საპასუხო ღონისძიებების განხორციელება ევროპაში.

ბროშურა „საბჭოთა კავშირის სამხედრო ძლიერება“ გამიზნული [illegible] ლია რეიგანის ადმინისტრაციის მიერ გაჩაღებული გამალებული შეიარაღების [illegible] „სტრატეგიული [illegible]“ [illegible] [illegible], თქვა გ. პარსონსმა.

დღევანდელი მიღება

9 აპრილს [illegible] სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ კრემლში მიიღო ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის წარმომადგენელთა პალატის დელეგაცია პალატის სპიკერის თომას ო'ნილის მეთაურობით, რომელიც საბჭოთა კავშირში იმყოფება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მოწვევით.

[illegible]

მოსკოვში ჩამოვიდა

საბჭოთა მთავრობის მოწვევით 9 აპრილს მოსკოვში ვიზიტად ჩამოვიდა ნიდერლანდების საგარეო საქმეთა მინისტრი ჰ. ვან დენ ბრუკი.

აეროდრომზე მას დახვდნენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ა. გ. კოვალიოვი და სხვა ოფიციალური პირები.

მომავალი შეხვედრისათვის

[illegible]

ინდოეთი

შეიტანეს სარჩელი

[illegible]

13-14 აპრილი ხსოვნის დღეა

არიან ადამიანები, რომლებიც ბუნებას უხვად დაუჯილდოებია იმ თვისებებით, ესოდენ რომ ესაჭიროება ხელმძღვანელს. ასეთად წარმოგვიდგება ჩვენ გიორგი ნიკოლოზის ძე ბარძიმოვი, რომელსაც მიმდინარე წლის 13 დეკემბერს დაბადების 75 წელი შეუსრულდებოდა.

იგი დაიბადა თელავში. საქართველოს ინდუსტრიული ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ინჟინერ-მექანიკოსი მუშაობას იწყებს თბილისის ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხანაში, სადაც განვლო გზა მექანიკოსის თანაშემწიდან დირექტორამდე. აქ გამოვლინდა მისი, როგორც ხელმძღვანელის, ორგანიზატორული ნიჭი. შემდეგში, როგორც უნარიანი და გამოცდილი სპეციალისტი, იგი ხელმძღვანელობს შრომითი რეზერვების სახელოსნო სასწავლებელს, კამოს სახელობის მექანიკურ ქარხანას. 1954 წელს გ. ბარძიმოვი გადაჰყავთ საქართველოს სარეწაო საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ, სადაც ამ დროს დიდი სამუშაოები მიმდინარეობდა წვრილ სარეწაო საწარმოების გამსხვილებისა და მათი ინდუსტრიულ რელსებზე გადასაყვანად.

1958 წელს გაზიფიკაციის სამუშაოების დაწყებასთან დაკავშირებით მას ნიშნავენ ახლად შექმნილ ქ. თბილისის გაზის მეურნეობის სამმართველოს უფროსად. ეს იყო სრულიად ახალი და უცნობი დარგი. ამ პერიოდისათვის რესპუბლიკაში არ იყო არავინ, რომელსაც თეორიული ან პრაქტიკული ცოდნა ჰქონოდა ამ საქმეში. საჭირო იყო დიდი მოსამზადებელი სამუშაოების შესრულება, კადრების მომზადება, ქალაქის რაიონებისათვის სათანადო საექსპლოატაციო ორგანოების შექმნა, მათი ტექნიკით აღჭურვა.

გ. ბარძიმოვის ინიციატივით ახალგაზრდა სპეციალისტები, ძირითადად პოლიტექნიკური ინსტიტუტის კურსდამთავრებული ინჟინრები, გაზიფიკაციასთან დაკავშირებული საკითხების შესასწავლად და კვალიფიკაციის ასამაღლებლად ქ. კიევში გაგზავნეს. ფართო მასშტაბით გაიშალა ქალაქში გაზსადენების მშენებლობის სამუშაოები. დაკომპლექტდა გაზის მეურნეობის სამმართველო, ჩამოყალიბდა რამდენიმე რაიონის საექსპლოატაციო ორგანო. იგი შემართებით შრომობდა, პირადი მაგალითით აღაფრთოვანებდა ახალგაზრდა სპეციალისტებს, უნერგავდა მათ საქმის სიყვარულს, გაძლიერებულ პასუხისმგებლობას, ადამიანურ დამოკიდებულებას ხელქვეითებისადმი.

ხელქვეითები გრძნობდნენ, საქმე ქონდათ ნამდვილ კომუნისტთან. იყო უბრალო, პირდაპირი, პრინციპული, მომთხოვნი და სამართლიანი.

როდესაც 1959 წლის დამლევს თბილისმა ბუნებრივი გაზი მიიღო და 26 კომისრის რაიონში 30 კილომეტრი სიგრძის გაზსადენი ჩადგა მწყობრში და სახლებში ცისფერი ალი აკიაფდა, ყველა დარწმუნდა ამ საქმის სიკეთეში.

საქმის ნიჭიერი ორგანიზატორი

1962 წელს გ. ბარძიმოვი გადაჰყავთ საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის მინისტრის მოადგილედ და გაზიფიკაციის მთავარი სამმართველოს უფროსად, რომელიც 1966 წელს გამოეყო სამინისტროს და მის ბაზაზე შეიქმნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გაზიფიკაციის მთავარი სამმართველო (ახლანდელი გაზიფიკაციის სახელმწიფო კომიტეტი). აქ გამომჟღავნდა მისი, როგორც სამეურნეო ხელმძღვანელის, ორგანიზატორული ნიჭი.

გ. ბარძიმოვს ძალიან უყვარდა თავისი საქმე. საკავშირო გაზის მრეწველობის სამინისტრო აგვიანებდა დასავლეთ საქართველოსკენ მაგისტრალური გაზსადენის მშენებლობას, მაგრამ ბარძიმოვის ინიციატივით მაგისტრალური გაზსადენი საგურამოდან კასპამდე გაგრძელდა, ხოლო შემდეგ — გორამდე და ქუთაისამდე. ამავე დროს მთავარი სამმართველოს ძალებით დაიწყო განშტოებათა მშენებლობა კახეთის რაიონებისაკენ, შემდეგ მარნეულ-ბოლნის-კაზრეთის მიმართულებით, ცხინვალისა და ლენინგორისაკენ.

გაზსადენების მშენებლობასთან ერთად მიმდინარეობდა საბინაო მშენებლობაც. ამის შედეგად გაზის მეურნეობის მრავალმა მუშაკმა მიიღო ბინა.

გ. ბარძიმოვი ყურადღებას უთმობდა გაზის მეურნეობებში უსაფრთხოების წესების დაცვას, მის უავარიო და გამართულ მუშაობას, მოსახლეობის მომსახურების დონის ამაღლებას. იგი დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა რესპუბლიკის ხელმძღვანელობის დავალებათა დროულად შესრულებას. საშეფო დახმარების სახით საქმთავარგაზის ძალებით და რესურსებით კახეთის და ქართლის რაიონებში შესრულდა დიდი მოცულობის სამელიორაციო სამუშაოები. არ ყოფილა შემთხვევა, რომ ზემდგომი ორგანოების ცალკე დავალებანი არ შესრულებულიყოს დადგენილ ვადაზე და ხარისხიანად. ასეთ სამუშაოებს იგი პირადად ხელმძღვანელობდა. გ. ბარძიმოვი ძირითად საქმიანობას კარგად უთავსებდა საზოგადოებრივ საქმიანობას. სხვადასხვა დროს იყო საქართველოს კომპარტიის თბილისის კიროვის რაიკომის ბიუროს წევრი, პარტიის თბილისის კომიტეტის სარევიზიო კომისიის წევრი, თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი. მან, როგორც დეპუტატმა, ბევრი რამ გააკეთა მშობლიური თელავისათვის. გარდა იმისა, რომ რაიონში შეიქმნა მძლავრი გაზის მეურნეობა, აშენდა მრავალი საცხოვრებელი სახლი, რამდენიმე სხვა ობიექტი.

იგი იყო ხელმძღვანელი, რომელსაც ნამდვილ სიამოვნებას ჰგვრიდა კოლექტივის წარმატებანი.

გ. ბარძიმოვმა აღზარდა ახალგაზრდა თაობის მთელი პლეადა: მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, წარმოების ხელმძღვანელები, ისინი, ვინც ახლა გაზის მეურნეობაში პასუხსაგებ უბნებზე მუშაობს.

პარტიამ და მთავრობამ სათანადოდ დააფასეს გ. ბარძიმოვის საქმიანობა. იგი დაჯილდოებული იყო ლენინის, შრომის წითელი დროშისა და ორი საპატიო ნიშნის ორდენებით, მედლებით. იგი ზრუნავდა ხალხის კეთილდღეობაზე, უხვად თესავდა სიკეთეს.

ლ. ედილაშვილი,
რესპუბლიკის დამსახურებული ინჟინერი, ომისა და შრომის ვეტერანი.

ჩვენი საქმე სამართლიანი იყო, ჩვენ გავიმარჯვეთ!

ვიწყებთ „დიდი სამამულო ომის ფოტო-მატიანეს“

1418 დღეს გრძელდებოდა დიდი სამამულო ომი. 1418 დღეს „წვიმდა სისხლი“. „ყავისფერი ურჩხული“ მოედო ევროპას და ჩვენს ქვეყანას ერგო საკაცობრიო მისია, ყოფილიყო ჰიტლერული ფაშიზმის მესაფლავე!

20 მილიონი სიცოცხლე შეეწირა ამას.

ალსდგა ქვეყანა, ალსდგა ხალხი, გაისმა დიდი საბრძოლო მოწოდება — „ლენინის დროშა გვფარავდეს!“ და სამკვდრო სასიცოცხლო ბრძოლაში ჩაება ჩვენი დიდი სამშობლო.

ფარაჯა ჩაიცვა ქვეყანამ — მუშამ, გლეხმა, დიდმა და პატარამ...

მკითხველო, საკმარისია დახედო ამ ფოტოს, მოსწრებიხარ თუ არა იმ ტყვიის თქეშს, ომის ხანძარს, შეუძლებელია ვერ წარმოიდგინო ის დღეები. რა გადაიტანა ჩვენმა ქვეყანამ, ხალხმა. აი, ეს არის ის გზა ბოროტზე კეთილის გამარჯვებისა, რომელიც რაიხსტაგზე ეგოროვისა და ქანთარიას ატანილი დროშის ფრიალით დამთავრდა.

კომპოზიტორ ა. ალექსანდროვის სიმღერა „წმიდა ომი“ და მხატვარ ი. თოიძის — „დედასამშობლო გვეძახის“ — მხარში უდგა ჩვენს მებრძოლებს, ეს იყო დიდი მოწოდება თავგანწირვისა და გმირობისათვის!

ბევრის მნახველ წითელ მოედანზე ეს მამაცი წითელარმიელები ჩვეულებრივი მეალლუმეები არავის ეგონოს, ეს 1941 წლის საშვიდნოემბრო პარადის მონაწილეები არიან, ისინი აქედან პირდაპირ ფრონტზე მიეშურებიან.

დაუკვირდით, ეს წითელი კომისარი პირველია, ვინც შეტევაზე წამოიმართა, ეს პირველი შეძახილია „სამშობლოსათვის!“ ახლა იგრიალებს საერთო „ვაშა“ და დაიწყება ბრძოლა.

აი, ეს არის სწორედ თავგანწირვის უფლება!

მარადიული რაინდი

ახალი ბალეტი ლენინგრადის ს. მ. კიროვის სახელობის თეატრის სცენაზე

კვლავ გააერთიანა შემოქმედებითმა შემართებამ ორი მოძმე კულტურა. ლენინგრადის ს. მ. კიროვის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის სცენა შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ პირველი ქორეოგრაფიული განსახიერების სამშობლოდ იქცა. მსოფლიო კულტურის ამ დიდებულმა ქმნილებამ შთააგონა სპექტაკლის შემქმნელები თავისი უკვდავი ჰუმანისტური იდეით: „ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია!“.

ქორეოგრაფიული ვერსია XII საუკუნის ქართული ლიტერატურის ძეგლის პლასტიკური პწკარედი როდია, ი. გრიგოროვიჩის ლიბრეტომ დრამატურგიული საფუძველი ბალეტის თეატრის სპეციფიკას დაუახლოვა. ახალი დადგმის მუსიკა ეკუთვნის ა. მაჭავარიანს. მისი ბალეტი „ოტელო“ წინათ ლენინგრადში დადგა ვ. ჭაბუკიანმა. მუსიკის ეპიკურ სიფართოეს, მისი რიტმების სიმწვავესა და მრავალფეროვნებას ლირიკულ საწყისთან ერთად, რომელიც ხან ნათელია, ხან სულიერი ტანჯვით ალსავსე, ხორცი შეასხა სპექტაკლის მუსიკალურმა ხელმძღვანელმა, დირიჟორმა ვ. მაჭავარიანმა.

ო. ვინოგრადოვის ქორეოგრაფიამ და მ. მურვანიძის სცენოგრაფიამ თითქოს შეისისხლხორცეს ლიტერატურული და მუსიკალური სახეები. მათი ურღვევი ერთიანობა თითქოს ხსოვნის ძაფებით მოუქსოვიათ, რომელსაც შემოუნახავს ისტორიული და კულტურული ასოციაცია. მასში ისმის წარსულის ექო, იგრძნობა დღევანდელობის ნიშნები და მომავლის მაუწყებელი ხმა. სპექტაკლი კეთილისა და ბოროტის, სიყვარულისა და თანაგრძნობის, მეგობრობისა და თავგანწირვის ემოციურ, ამაღელვებელ პოემად მოგვევლინა.

პროლოგში კრატერების მსგავს ბაზალტის ფონს თითქოს ჩვენი პლანეტის ახალგაზრდობის ეპოქაში გადავყავართ. ძველებური ფარის უზარმაზარი წრე ზეაიწევა და თვალწინ წარმოგვიდგება გადაჭდობილი სხეულების ბირთვისებრი კომპოზიცია. უმწეოდ გაშიშვლებულნი, ისინი ამავე დროს ურღვევად არიან გადაწნული ერთმანეთს. ასეა ქვეყნად ერთმანეთში გადაჭდობილი ადამიანების ბედ-იღბალი. და ამ ცოცხალი სკულპტურული ჯგუფიდან იშობა შეყვარებულთა — ტარიელისა და ნესტან-დარეჯანის დუეტი. სხვა წყვილებიც მრავალგზის იმეორებენ ამ ცეკვას და თითქოს ხოტბას ასხამენ სიყვარულს, როგორც სამყაროს ჰარმონიას. უნებურად გაგონდება „ვეფხისტყაოსნის“ სტრიქონები: „ტანი კალმად მაქვს, კალამი ნაღველთა ამონაწები...“. სამიჯნურო ლირიკა აქ ფორმით დახვეწილი, ემოციური და ღრმად ადამიანურია.

ვისაც ბალეტი „მისი უცვლელობისათვის“ უყვარს, როგორც ირონიულად ამბობდა გასულ საუკუნეში მ. ე. სალტიკოვ-შჩედრინი, ახალ სპექტაკლში ვერ ნახავს მის ტრადიციულ ნიშნებს. ქორეოგრაფმა, რომელმაც ეპოსს მიმართა და კაცობრიობაზე და ადამიანურობაზე გვესაუბრება, განზრახ უარყო ჩვეულებრივი ცეკვა, კლასიკამდელ პლასტიკას დაუბრუნდა (ისევე, როგორც წინათ, როცა დადგა ბალეტი „იაროსლავნა“ — „ამბავი იგორის ლაშქრობისა“).

... თითქოს პოლიეკრანის კინოაო, სცენის კუთხეში მოჩანს შავ-წითელი ქაჯების მწყობრი კომპოზიცია. უცნაური კოსტიუმები და საცეკვაო ნახატის რთული კომპოზიცია მოხერხებულად მალავს მათი მომხიბლავი სახის უკან შემზარავ არსს. მხოლოდ თანდათანობით, მკაცრი მექანიკური მოძრაობით იბადება კომპიუტერის, უგრძნობი მანქანის მოძრაობანი, რომელსაც ძალუძს ჩაკლას მეხსიერება და ადამიანი თავის იარაღად გადააქციოს. სწორედ ეს ბედი ეწია მშვენიერ ნესტანს, და მხოლოდ რაინდების — ტარიელისა და ავთანდილის მამაცობამ და მეგობრობამ დაამსხვრია ჯადო.

რთულ ქორეოგრაფიაში ზოგადადამიანურისა და წარუვალის ხორცშესხმა სერიოზული გამოცდა გახდა როგორც გამოცდილი, ისე ახალბედა მსახიობებისათვის. მთავარ პარტიაში წარმატებით გამოვიდა ე. ალიევი. სკულპტურული პლასტიკურობა მის მიერ შექმნილ სახეს ანიჭებს მონუმენტურობას, რომელსაც ცდილობს შეურწყოს [illegible]. სულ სხვა საშუალებებს მიმართავს იმავე პარტიაში ფ. რუზიმატოვი. ღვთისაგან ბოძებული ხაზების გრძნობა, სხეული, რომელიც მუყაითი ვარჯიშით დაუხვეწია, ახალგაზრდა მოცეკვავეს საშუალებას აძლევს თავისი შთაგონებული პოემა მთლიანად შეუთანხმოს ბალეტმაისტერის ჩანაფიქრს. ნესტან-დარეჯანის როლში გ. მეზენცევამ მოგვაჯადოვა ქესტით, ფაქიზი ინტუიციით, შევქმრა ქაჯების დედოფლად გადაქცევის ტრაგიკულ სცენაში. ამ როლის მეორე . შემსრულებელი ტ. არისტინა გვხიბლავს ლამაზი პლასტიკით. ეს დამწყები მოცეკვავის პირველი პარტიაა. დასრულებული და სრულყოფილი იყო ს. ვიხარევის ცეკვა: იგი ვირტუოზულად და ჭეშმარიტი არტისტული ტემპერამენტით ასრულებს ქაჯების უფლისწულის პარტიას. თინათინი — ნ. ბოლშაკოვა სახის კონკრეტულ ხასიათს ეძებს, ე. ევტეევა კი იმავე როლში მისი პლასტიკური ჩაწვდომის გზას ადგას. ნადირობის სცენაში მისი თინათინი თავად მოგვაგონებს ნაზ ქურციკს. სხვადასხვა გზას ადგანან ავთანდილის სახის შექმნაში ვ. გულიაევი და ე. ნეფო.

სპექტაკლის მაღალი მხატვრული დონე განსაზღვრა მთელმა ბალეტის დასმა, რომელმაც ერთხელ კიდევ დაამტკიცა თავისი დიდი შესაძლებლობანი.

მ. ილიჩოვა,
ლენინგრადი.
„იზვესტია“, 1985 წ. 10. IV.

რას გვიამბობს ვიოლინო

ოჯახური რელიკვია — ვიოლინო, რომლის თავგადასავალშიც ერთმანეთს შერწყმია მეოცე საუკუნის უმნიშვნელოვანესი მოვლენები, საჩუქრად გადაეცა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მუზეუმს.

საოცარი ბედი ერგოთ მის მფლობელებს — მამა-შვილ ქურხულებს. პირველი მათგანი, ილია ვასილის ძე — დიდი ნიჭისა და გაქანების კაცი — 1912 წელს გარიცხეს მოსკოვის კონსერვატორიიდან პროგრესული შეხედულებებისათვის. მაგრამ იგი მაინც მუსიკას ემსახურებოდა— ფეხით მოიარა მშობელი მხარე, რევოლუციამდელი რუსეთის ბევრი გუბერნია, სადაც ხალხურ საკრავებს აგროვებდა და შემდეგ აახლებდა მათ. ერთ-ერთი ასეთი საკრავი — ქართული გუდასტვირი ვ. ი. ქურხულმა ა. მ. გორკის აჩუქა. საკრავი ახლა მოსკოვში ინახება დიდი პროლეტარული მწერლის სახლ-მუზეუმში.

ილია ქურხული მრავალმხრივი ინტერესების კაცი იყო, პროპაგანდას უწევდა ლიტერატურას, ისტორიას, ხალხურ შემოქმედებას. და ყოველთვის, შორეულ მოგზაურობებშიც კი, მას თან ახლდა ვიოლინო.

საბჭოთა საქართველოში ფართოდ გაეხსნა გზა შემოქმედებით აღმაფრენას. განმანათლებელი ოცნებობდა, რომ მისი შვილიც მუსიკის აქტიური პროპაგანდისტი გახდებოდა. მაგრამ მრისხანე საშიშროებამ, რომელიც თავს დაატყდა ქვეყანას, თავისი ქნა — ტარიელმა შაშხანა აიღო ხელში.

მოზარდი დიდი სამამულო ომის პირველსავე დღეებში გაიქცა შინიდან და დატოვა წერილი: „მამა! შენ გამიგებ. შენს შვილს უფლება არა აქვს შინ იჯდეს, როცა სამშობლო საფრთხეშია“. ასე გახდა ჯარისკაცი უმცროსი ქურხული.

ჭაბუკი ფრონტზეც არ იშორებდა ვიოლინოს. ხანმოკლე შესვენების დროს მებრძოლები ქართულ და რუსულ ჰანგებს ისმენდნენ. მაგრამ მოგვიანებით ვიოლინო შინ დაბრუნდა: ტარიელი დაიჭრა, თბილისში ჩამოვიდა და ინსტრუმენტი ოჯახში დატოვა.

...1945 წლის მაისში ჩეხოსლოვაკიაში, ქალაქ გლუჩინოსათვის გამართულ ცხარე ბრძოლაში მამაცურად დაიღუპა ტ. ქურხული — საძმო საფლავის გრანიტზე მისი სახელი ოქროსფრად არის ამოტვიფრული.

ომის დამთავრების შემდეგ ჩეხოსლოვაკიელი მეგობრების მიწვევით შვილის საფლავის სანახავად გაემგზავრა დედა — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი ნ. მათიაშვილი.

— ჩემი ვაჟი დღესაც ჩვენთან ერთად ცოცხლობს — ამბობს იგი.

ტარიელი შეყვანილია ოსტრავის მეტალურგიული ქარხნის ბრიგადის შემადგენლობაში. ერთ-ერთ საბავშვო ბაღს გლუჩინოში — ქალაქში, რომელსაც საბჭოთა ჯარისკაცი, ქართველი ჭაბუკი ათავისუფლებდა, მისი სახელი ეწოდა.

გ. კენჭოშვილი,
საქდესის კორ.

ფიცნის თარო

დავით ჩხიკვიშვილს ვინ არ იცნობს საქართველოში, ოფიციალურ წრეებში და თავგადასავლის მიხედვით კი მის ფარგლებს გარეთაც. მეცნიერი, მინისტრი, რექტორი, დეპუტატი, თავის დროზე პარტიის რაიკომის პირველი მდივანიც. ტიტულების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა, მაგრამ მათ შორის როგორღაც მეიჩქმალა ერთი პირველი და, ვიტყოდი, მთავარი ტიტული — მფრინავი!

ნუთუ ეს ის ჩხიკვიშვილია, ქვეყანა მინისტრად რომ იცნობს? — გაიკვირვებს ზოგი. პირველად მეც გაკვირვებული ვიყავი, რადგან არსად ეხსენიებდა თავის თავს ომგადახდილებს შორის, რატომღაც დუმდა თავის ხიფათიან თავგადასავალზე. არადა, ეს ახალგაზრდა, ახოვანი ჯენტლმენი, ლამაზი ქართველი კაცი სამხედრო მფრინავი იყო, და მერე როგორი! თუ როგორი, ამაზე სიტყვა მივცეთ გაზეთს:

— ოცდაათი ათასი კომკავშირელი — მოსკოვის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები — 1939 წლის გაზაფხულზე მოხალისედ ჩაეწერა ჩვენი ქვეყნის სამხედრო სასწავლებლებში, მათ შორის იყო მოსკოვის ენერგეტიკის ინსტიტუტის სტუდენტი დავით ჩხიკვიშვილიც. ზაპოროჟიეს ავიასკოლის დამთავრების შემდეგ იგი გაიგზავნა საავიაციო დივიზიაში მსროლელ-რადისტად.

ომის დაწყებისთანავე დავით ჩხიკვიშვილი ფრონტზეა. საჰაერო ბრძოლებში მან ჩამოაგდო სამი „მესერშმიტი-109“, რისთვისაც დაჯილდოვდა ლენინის ორდენით. შემდეგში ჩხიკვიშვილი მონაწილეობდა საბჭოთა ბომბდამშენების შორეულ ფრენებში; ისინი ანადგურებდნენ ფაშისტთა ჯარების ზურგს, ბერლინის, დანციგის, კენიგსბერგის სამხედრო-სამრეწველო ობიექტებს, ერთ-ერთი გაფრენის დროს დ. ჩხიკვიშვილი დაიჭრა საზენიტო ჭურვის ნამსხვრევით; ჰოსპიტლის შემდეგ იგი კვლავ მწყობრში ჩადგა და ლენინის ორდენთან ერთად მისი [illegible]

ნ ა ნ ა ხ ი, გ ა ნ ც დ ი ლ ი...

კვიშვილი საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრია, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატია, პროფესორია, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტია, მრავალი სამეცნიერო ნაშრომისა და წიგნის ავტორია...

ჩემს ცნობიერებაში ეს პიროვნება სულ სხვა შარავანდედით შემოსა მისმა თავმდაბლობამაც და იმან, რომ დიდი ხნის დუმილის შემდეგ, ბოლოს და ბოლოს მემუარული ჟანრით მოგვაწოდა თავისი სახელოვანი საბრძოლო თავგადასავალი, მაგრამ ეს ხომ ღრმად ფსიქოლოგიურ, ჭეშმარიტად მხატვრული, პროზის სრულუფლებიან ნაწარმოებთა კრებულია!

ნათქვამში თავად დარწმუნდება ყველა, ვინც წაიკითხავს დავით ჩხიკვიშვილის წიგნს „მტრის ღრუბლიან ცაში“, აგერ სულ ახლახან, დიადი გამარჯვების 40 წლისთავის ზეიმის წინ რომ მოგვაწოდა თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობამ.

დავით ჩხიკვიშვილს ათეული წლების მანძილზე მრავალი წერილი გამოუქვეყნებია ახალგაზრდობის აღზრდაზე, საბჭოთა პატრიოტიზმზე, მრავალი საგულისხმო სიტყვაც წარმოუთქვამს ამ თემაზე, მაგრამ ამ გამოსვლათა, თუნდაც შერჩეულთა, კრებული ახალგაზრდობაზე ისეთი ზემოქმედების ძალის მქონე ვერ იქნებოდა, ვიდრე არის ეს „მტრის ღრუბლიან ცაში“ მოქცეული, პირადი მაგალითით გამთბარი, საკუთარ გულში გამოტარებული „თილისმა“ და „დედის ხელით შეკერილი პერანგი“, „ახლოდან ნანახი გერმანელები“ და „მარინა მასწავლებელი“, „ავიაციის მთავარი მარშალი ალექსანდრე გოლოვანოვი“ და „ვლადიმერ კანდელაკი“, „ირა“ და „მკვდარი არე“, „რაინდი“ და... რაღა თქმა უნდა, წიგნს წამძღვარებული „რედაქტორისაგან“.

გასაგებია, რომ სწორედ „კაპიტან ბუხაიძის“ ავტორმა, პოეტმა-აკადემიკოსმა ირაკლი აბაშიძემ წაუმძღვარა შთაგონებული წინასიტყვაობა წიგნს, რომლის ავტორის ჯავშნიან მკერდქვეშ ძალუმად სცემს ადრე შეწყვეტილი გული ბუხაიძეთა, როგორც ქართული რაინდული სულის გაგრძელება.

ვლ. თორდუა,
დიდი სამამულო ომის ვეტერანი.

ალკოჰოლი ადამიანის მტერია

არაფერი ისე არ არყევს ადამიანის ჯანმრთელობასა და ფსიქიკას, არაფერი ისეთ აუნაზღაურებელ ზიანს არ აყენებს საზოგადოებას, როგორც ალკოჰოლი. ჩვენი ცხოვრების ამ მანკიერ მოვლენის დაძლევის მწვავე აუცილებლობის შესახებ იმსჯელეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სხდომაზე.

— დარწმუნებული ვარ, რომ მილიონობით ადამიანმა კმაყოფილებით და დაკვირვებით წაიკითხა ამ ცნობის მკაცრი სტრიქონები, — თქვა საკდესის კორესპონდენტთან საუბრისას სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სამმართველოს უფროსმა, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო საბჭოს ვიცე-პრეზიდენტმა ე. ბაბაიანმა. ყოველი ღონე უნდა ვიხმაროთ, რათა უახლოეს წლებშივე მინიმუმამდე შევამციროთ ეს უბედურება.

საზოგადოებისათვის ამ დამღუპველი სენის პროფილაქტიკას ჩვენს ქვეყანაში შეუნელებელი ყურადღება ეთმობა. მთავრობის მთელ რიგ დადგენილებათა შედეგად ამ დიდმნიშვნელოვანი სოციალური და ეკონომიკური ამოცანის კარდინალურ გადაწყვეტაში თანდათან ჩაებნენ ჯანმრთელობის დაცვის ორგანოები, პროფკავშირები, კომკავშირი, პრესა, ტელევიზია, საზოგადოება „ცოდნის“ აქტივისტები. ლოთობისა და ალკოჰოლიზმის აღმოფხვრის პრობლემა, როგორც სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სხდომაზე აღინიშნა, ახლა მოითხოვს სახელმწიფო და სამეურნეო ორგანოების, პარტიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ძალების გაერთიანებასა და მუდმივ კოორდინაციას.

მედიცინის მეცნიერება საშუალებას გვაძლევს დღეს მთელი გარკვეულობით ვთქვათ: ალკოჰოლიზმი იკურნება! აქედან ცხადია, თუ რატომ ამყარებს მედიკოსებზე საზოგადოება სერიოზულ იმედს ამ სენის ლიკვიდაციაში. და მათ ცოტა როდი გააკეთეს ამ მიმართულებით. ჩვენს ქვეყანაში მსოფლიოში პირველად შეიქმნა ერთიანი ნარკოლოგიური სამსახური, რომელიც უზრუნველყოფილია სპეციალისტებითა და მეცნიერი მედიკოსებით. სპეციალიზებული დისპანსერებისა და ნარკოლოგიური კაბინეტების ფართო ქსელი საშუალებას იძლევა პრაქტიკულად ყველგან ვეწეოდეთ სისტემატურ მუშაობას ალკოჰოლიზმით დაავადებულთა გამოვლინებისა და მკურნალობისათვის.

ჩვენს საზოგადოებას მკაფიოდ აქვს შეგნებული იმ უდიდესი ეკონომიკური და მორალური დანაკარგების სიმძიმე, რომლებსაც იწვევს ალკოჰოლი — გაცდენე-

შევაჩეროთ საშიში სენი

ბისა და დაგვიანების, წუნისა და შრომის ნაყოფიერების შემცირების მიზეზი. ამას დავუმატოთ უბედური შემთხვევებითა და საგზაო კატასტროფებით, ოჯახების დანგრევით გამოწვეული ვნება და სიხარულს მოკლებული, ჯანმრთელობამერყეული ბავშვები. და ჩვენთვის ცხადი გახდება, რომ ლოთობის წინააღმდეგ ბრძოლაში უმეტეს წარმატებას მივაღწევთ იმ შემთხვევაში, თუ ჯანმრთელი ადამიანისათვის ბრძოლის ეპიცენტრს გადავიტანთ უშუალოდ შრომით კოლექტივებში. ამ თვალსაზრისით უკვე ბევრი რამ გაკეთდა. ნარკოლოგიური განყოფილებები გაიხსნა მსხვილ სამრეწველო საწარმოებში, სადაც ავადმყოფები იღებენ ყველა თანამედროვე მეთოდით აღჭურვილი სტაციონარული მკურნალობის სრულ მოცულობას.

შექმნილია იმის პირობებიც, რომ პაციენტებმა მკურნალობის კურსის დროს განაგრძონ სასარგებლო შრომა და ამ შრომით მიღებული ხელფასით უზრუნველყონ ოჯახი. მკურნალობის პერიოდში შრომითი საქმიანობა ავადმყოფზე დადებითს ფსიქოლოგიურ გავლენას ახდენს. მას უბრუნდება საკუთარი თავის რწმენა, იგი ხედავს, რომ ისევ შეუძლია ნაყოფიერად იშრომოს და ოჯახს მწუხარება კი არა, სიხარული მოუტანოს. საწარმოებში ასეთი სპეციალიზებული განყოფილებების ორგანიზაციის პირველი გამოცდილება მოწმობს ალკოჰოლიზმის მკურნალობის მეთოდიკაში მომხდარ დიდმნიშვნელოვან ძვრას: მკურნალობის ეფექტიანობა აქ ერთიორად უფრო მაღალია, ვიდრე ჩვეულებრივ ნარკოლოგიურ სტაციონარებში.

სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროში გამოგზავნილი მრავალრიცხოვანი წერილები შეიცავენ სურვილებს გაიზარდოს ანონიმური მკურნალობის ნარკოლოგიური სამსახურების რიცხვი. ეს ფორმა იძლევა შესაძლებლობას უფრო ფართოდ გამოავლინონ ადამიანები, რომლებსაც ჯერ მხოლოდ მიდრეკილება აქვთ ალკოჰოლიზმისადმი. წერილების ავტორებს მინდა ვუპასუხო: ყოველმხრივ ვუჭერთ მხარს ამ მეთოდიკას და იგი მიგვაჩნია ყველა იმათთვის დახმარების გაწევის ეფექტიან გზად, ვისაც ნარკოლოგის რჩევა სჭირდება.

უდიდეს ყურადღებას, რომელიც ჩვენს ქვეყანაში ეთმობა ალკოჰოლიზმის პროფილაქტიკას, საზოგადოების შეუნელებელ გამაფრთხილებელ ღონისძიებებს, ქვეყანაში ნარკოლოგიური სამსახურის განვითარებას, თავისი დადებითი შედეგები მოჰყვა. ბოლო ხუთწლედის მანძილზე მნიშვნელოვნად შემცირდა ალკოჰოლიზმის ურთულესი და უმძიმესი ფორმების რაოდენობა, პირველად გამოვლენილ ავადმყოფთა რიცხვი. მაგრამ წინ ჯერ კიდევ დიდი სამუშაოა. და მედიკოსები მზად არიან გააორკეცონ მეცადინეობა, რათა ერთიანი ფრონტით, ქვეყნის მთელ საზოგადოებასთან ერთად საიმედო დაბრკოლება აღუმართონ საუკუნის საშიშ სენს. (საკდესი).

ყაზახი

სატურნირო ორბიტა

ფეხბურთი. გთავაზობთ პირველი ლიგის გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მეორე ტურის შედეგებს: **დასავლეთის ზონა.** ბათუმის „დინამო“-ორჯონიკიძის „სპარტაკი“ — 3:0, ლანჩხუთის „გურია“-სტავროპოლის „დინამო“ — 0:0, ნიკოპოლის „კოლოსი“-კრასნოდარის „ყუბანი“ — 1:0, ზაპოროჟიეს „მეტალურგი“-აბოვიანის „კოტაიკი“ — 0:0; **აღმოსავლეთის ზონა.** ცსკა-მოსკოვის „ლოკომოტივი“ — 1:1, სმოლენსკის „ისკრა“- იაროსლავლის „შინიკი“ — 0:1, ჯიზაკის „ზვეზდა“-კუიბიშევის „კრილია სოვეტოვი“ — 1:2, ტაშკენტის „ფახთაქორი“-ვოლგოგრადის „როტორი“ — 0:0.

ფეხბურთის საკავშირო ფედერაციამ თბილისის „დინამოსა“ და „არარატის“ კალენდარული მატჩი 14 აპრილიდან გადაიტანა 22 მაისისათვის.

რეგბი. თბილისის შემდეგ ლვოვშიც დამთავრდა უმაღლესი ლიგის გუნდების საკავშირო ჩემპიონატის პირველი წრის საწყისი ეტაპი. გთავაზობთ ლვოვში გამართული მეხუთე ტურის შედეგებს: კიევის „ავიატორი“-ლენინგრადის „პრიმორეცი“ — 24:0, მოსკოვის „ფილი“-მოსკოვის „სპარტაკი“ — 10:6, ლვოვის „სოკოლი“-ქუთაისის „მშენებელი“ — 9:13. თბილისსა და ლვოვში დამთავრებული შეჯიბრების საწყისი ეტაპის შემდეგ გუნდები სატურნირო ცხრილში ასეთი თანმიმდევრობით არიან განლაგებული: სამხედრო-საჰაერო აკადემიის გუნდი (მოსკოვის ოლქი) და კიევის „ავიატორი“ —15-15 ქულა, მოსკოვის „სლავა“ და ლენინგრა- [illegible]

ფრენბურთი. ქალთა გუნდებს შორის იაპონიის თასის გათამაშების მეხუთე ტურის მატჩები ქალაქ ფუკუოკაში გაიმართა. საბჭოთა სპორტსმენებმა ზედიზედ მეხუთე გამარჯვება მოიპოვეს, ამჯერად ბრაზილიელებთან — 3:0, ასევე ხუთი მოგება აქვთ ჩინელ ფრენბურთელებს. მათ მეხუთე ტურში დაამარცხეს ჩეხოსლოვაკიის ნაკრები — 3:0. ამ დღეს სამხრეთ კორეელებმა მოუგეს გფრ-ის გუნდს (3:0), იაპონელებმა — მექსიკელებს (3:0).

ჩოგბურთი. მონტე-კარლოში დამთავრდა ვაჟთა დიდი საერთაშორისო შეჯიბრება. აქ ფინალურ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ ივან ლენდლი (ჩეხოსლოვაკია) და მატს ვილანდერი (შვეცია). გაიმარჯვა ლენდლმა — 6:1, 6:3, 4:6, 6:4. ნახევარფინალში ლენდლმა მოუგო ჰენრიკ სუნდსტრომს (შვეცია) — 4:6, 7:6, 7:6, ვილანდერმა — არონ კრიკსტინს (აშშ) — 6:3, 6:1.

თავისუფალი ჭიდაობა. ყარაგანდაში დამთავრებულ ახალგაზრდა მოჭიდავეთა საკავშირო შეჯიბრებაზე სხვებთან ერთად თავი ისახელა თბილისელმა ა. გოგოლიშვილმა. იგი უძლიერესი იყო 82 კილოგრამამდე წონითი კატეგორიის სპორტსმენებს შორის.

სურათებზე: შვედი ფეხბურთელი ქალების შეხვედრის მომენტები.

ს. კილაძის ფოტო.

რედაქტორის მოადგილე
ბ. ნაჭყებია

ჩვენს ტელეეკრანებზე

ცენტრალური ტელევიზია

11 აპრილი

[illegible]

22.55 — ბალეტის შესახებ. 24.00 — დღეს მსოფლიოში.

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.15; 9.55; 10.55 და 12.00 — საშეცნიერო-პოპულარული ფილმები. 10.05 და [illegible]

თბილისი

11 აპრილი

[illegible]

10.05 — პროფტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეთათვის. „მოგითხრობთ პროფესიაზე“ — მექანიზატორი (განმეორებით). [illegible]

[illegible] ავტოგრაფები“. 19.15 — მილიონთა ლენინური უნივერსიტეტი — „შრომა — საზოგადოება — ადამიანი“ (მ.). 19.45 — „დღეს [illegible]

თეატრი

11 აპრილი

[illegible]

კომუნისტი

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

380096, თბილისი-96. ლენინის ქ. 14.

რედაქცია:

რედაქტორის მოადგილეების — 99-93-03, 99-03-09, პ/მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების — 99-87-61, მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 93-22-93, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, მრეწველობისა და ტრანსპორტის — 93-20-34, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, კორესპონდენტთა ქსელის და პრესის მიმოხილვის — 99-05-29, ადგილობრივი ინფორმაციის — 93-16-90, უცხოეთის ინფორმაციის — 99-60-21, მშრომელთა წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54, საზოგადოებრივი მისალების — 93-95-24.

საკორესპონდენტო პუნქტები:

მოსკოვი — 290-68-47; სოხუმი — 2-40-19; ბათუმი — 3-41-69; ცხინვალი 2-22-52; ქუთაისი — 5-26-38; გორი — 2-33-10; ახალციხე — 2-03-15; ფოთი — 5-58-69; მახარაძე — 3-34-44 ზესტაფონი — 5-56-36; თელავი — 3-12-09; წითელწყარო — 23-66; ტყიბული — 25-82.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434

[illegible]